



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამების კლასტერის შესახებ

ქართული ტრადიციული მუსიკის საბაკალავრო პროგრამა,
მუსიკოლოგიის (ქართული ტრადიციული მუსიკა) სამაგისტრო
პროგრამა,
ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებლის
სამაგისტრო პროგრამა

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი“

ადგილზე ვიზიტის თარიღები:

24-25/02/2024 საბოლოო

დასკვნის ჩაბარების თარიღი:

01/04/2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 14

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან 14
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 34
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 46
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა 52
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი 71

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404924310
დაწესებულების ტიპი	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ჰელენ მაკვეი, შოტლანდიის სამეფო კონსერვატორია, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ძველია, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რუსუდან თაყაიშვილი, ივ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირმა ქურდამე, სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ბუცხრიკიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ქართული ტრადიციული მუსიკა	მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)	ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	Bachelor of Music Arts in Georgian Folk and Sacred Music Conducting (Dirigent/Regent) ქართული სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი/რეგენტი)	1. Master of Music Arts in Ethnomusicology; 2. Master of musical arts in Sacred Music. 1. ქართული სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში; 2. სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში	Master of Music Arts in Georgian Folk- and Sacred Music Conducting (Dirigent/Regent) ქართული სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი/რეგენტი)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მუსიკა და სამემსრულებლო ხელოვნება 0215 0215.1.13 ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობა (ლოტბარი/რეგენტი)	მუსიკა და სამემსრულებლო ხელოვნება 0215 0215.1.12 საეკლესიო მუსიკა	მუსიკა და სამემსრულებლო ხელოვნება 0215 0215.1.13 ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობა (ლოტბარი/რეგენტი)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი	120 ECTS კრედიტი	120 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არა-აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი,	ახალი; ავტორიზაციის თარიღები: 18.12.2024 N1730220 27. 06. 2021 N70186	ახალი; ავტორიზაციის თარიღები: 18.12.2024 N1730220 27. 06. 2021 N70186	ახალი; ავტორიზაციის თარიღები: 18.12.2024 N1730220 27. 06. 2021 N701862

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

თარიღი)			
---------	--	--	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

2023 წლის დეკემბერში მოპოვებული ავტორიზაციის შემდეგ, ამ მცირე ზომის, პროფილური დაწესებულების ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამები შეადგენს წარმოდგენილ კლასტერს: მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა) (120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა), ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი (120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა) და ქართული ტრადიციული მუსიკა (240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა). კლასტერში შემავალი პროგრამები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება N83-ის (დანართი N3, მუხლი 1.3) შესაბამისად კლასიფიცირდა. დაცულია ამ ბრძანების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, პროგრამების დაჯგუფებისთვის.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებია:

1. საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობა (ლოტბარი/რეგენტი).
2. სამაგისტრო პროგრამა - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა) - მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში; სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში;
3. სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი- მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი/რეგენტი).

საბაკალავრო პროგრამა „ქართული ტრადიციული მუსიკა“ წარმოადგენს სასულიერო პროგრამის „საეკლესიო მუსიკის“ განახლებულ და შეცვლილ ვერსიას. ანალოგიურად, სამაგისტრო პროგრამა „მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)“ წარმოადგენს არსებული პროგრამის „საეკლესიო მუსიკოლოგიის“ განახლებულ ვერსიას. სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი- ახლად შექმნილი ინიციატივაა. ეს პროგრამები შემუშავებულია საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის, შინაგანაწესისა და უნივერსიტეტის დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად. მათი უპირველესი დანიშნულებაა უძველესი ქართული

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

სასულიერო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებისა და სკოლების, ქრისტიანული სწავლებლებისა და ქართული საგუნდო საშემსრულებლო ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა ეფექტურად იმუშავა და ყველა ძირითად დაინტერესებულ მხარეს შეხვდა. მოინახულა კამპუსი (არსებული შენობა). შეხვედრები ჩატარდა დროულად და მოსაკვლევ სფეროების შესაბამისად, რომლებიც დაკავშირებული იყო ადგილზე ვიზიტის შეფასების კრიტერიუმებთან და მათ შემდგომ ანალიზთან. ექსპერტების სახელმძღვანელო პრინციპები დაცული იყო. უზრუნველყოფილი იყო ეფექტური თარგმანი. ადგილზე ვიზიტმა, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს საშუალება მისცა, კითხვები დაესვათ დაინტერესებული მხარეებისთვის. ამან შესაძლებელი გახადა თვითშეფასების ანგარიშისა და გამოქვეყნებული დოკუმენტების/პოლიტიკის უფრო სრულყოფილი და კრიტიკული გააზრება.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ყველა სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია, გარდა მე-5 სტანდარტისა, რომელიც მთელი კლასტერის შემთხვევაში არის მეტწილად შესაბამისობაში; ხოლო საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში - მე-3 სტანდარტია მეტწილად შესაბამისობაში.

- **რეკომენდაციები**

1. განიხილეთ სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის გზები, რომ მათთვის უფრო ნათელი გახდეს პროგრამის ფუნქციონირებისა და აკადემიური მოთხოვნები - მაგალითად, შეიმუშავეთ და დანერგეთ სტუდენტური პორტალი (სადაც სასწავლო კურსების შესახებ ისეთი დეტალური ინფორმაცია იქნება მოცემული, როგორცაა: გამოცდის თარიღები, გამოცდის შედეგები, შეფასებები, სილაბუსები, ცხრილები, საკონსულტაციო საათები).
2. პროგრამის გუნდმა და სასწავლო პერსონალმა უნდა ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან, რათა ჩამოუყალიბდეთ აკრედიტებული პროგრამის მიწოდების მოთხოვნების საკუთარი აღქმა, ხარისხის კულტურის დანერგვით, რომელიც ხელს უწყობს როგორც სტუდენტთა, ასევე პერსონალის სამუშაოს.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

1. სასურველია გამოიყენოთ თანმიმდევრული ენა პროგრამის დოკუმენტში მოცემულ სათაურებში (მიზანი და/ან ამოცანა) (aim/objective and/or goal)
2. სტუდენტებისთვის დააზუსტეთ თუ რა განსხვავებაა შესაფასებელ დავალებასა და მასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგს შორის.
3. პრაქტიკული კურსების სილაბუსებში, სასურველია განახლდეს და დაემატოს სწავლა-სწავლების მეთოდები.
4. სასურველია, სწავლების მეთოდების ხელშეწყობისთვის დაემატოს ელექტრონული სწავლების პლატფორმა.

5. სასურველია, რომ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსები ითვალისწინებდეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომლის მიღწევაც შესაძლებელია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. კურსის სილაბუსებში, შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია უფრო კონკრეტულად უნდა იყოს მოცემული.
6. უზრუნველყავით პოლიტიკის უწყვეტი განვითარება სტუდენტისთვის გასაგებ ენაზე.
7. შეაფასეთ ინგლისური ენის მიწოდების ეფექტურობა, პროგრამის მიზნების მხარდასაჭერად.
8. უზრუნველყავით პლაგიატის გამოვლენის ინსტრუმენტის წარმატებით განხორციელება.
9. სასურველია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდეს კლასტერში შემავალი პროგრამების მსგავს პროგრამებთან შედარების („ბენჩმარქინგის“) დოკუმენტი, თავის ანალიზთან ერთად, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალებას მისცემს უფრო ნათლად გამოავლინოს ახალი ტენდენციები და მიდგომები ამ სფეროში.
10. სასურველია, ისწრაფოდეთ უფრო მეტად ყოვლისმომცველი გარე შეფასების მიღებისკენ, რათა უზრუნველყოთ პროგრამის შინაარსისა და განხორციელების კრიტიკული მხარდაჭერა და საუკეთესო პრაქტიკასთან შედარება.
11. შეიმუშავეთ დოკუმენტაცია და სისტემური მიდგომები, რომ მხარი დაუჭიროთ ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის გაუმჯობესებას; მაგალითად, გაწერეთ მკაფიო პროცესი პერიოდული შეფასებისთვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³**

- **ექსპერტთა ჯგუფმა საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა შემდეგი:**

1. უსდ-სა და მისი მდიდარი კულტურული კონტექსტის სათანადო აღქმა. ეს კარგად იყო გამოხატული დოკუმენტაციაში და შემდგომ უფროსი პერსონალის განცხადებებშიც.
2. უსდ-ს მტკიცედ აქვს განსაზღვრული ინტერნაციონალიზაციისადმი საკუთარი ამბიციისა და საერთაშორისო კვლევის გაფართოების მიზნით გაფორმებული მემორანდუმების რამდენიმე მაგალითიც წარმოადგინა. ამ ამბიციას, მისი რეალიზაციის მიზნით, მხარს უჭერს უფრო მეტი ინგლისურენოვანი კურსის ჩართვა.
3. უსდ-მ დანერგა აკრედიტაციის პროცესისთვის მოსამზადებელი მდგრადი მიდგომა, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების ყოვლისმომცველ განხილვასა და შრომის ბაზრის ანალიზს.
4. კლასტერში შემავალ პროგრამებზე მუშაობს თავდაჯერებული და

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომლებსაც აქვთ სათანადო კონტაქტები და კარგად ინტეგრირებულნი არიან შრომის ბაზარზე და აქვთ შესაბამისი კვალიფიკაციები.

5. ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით, უსდ-ს საერთო მდგრადობის მხარდასაჭერად, გამოყოფილია სათანადო ფინანსური რესურსები.

▪ **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შემდგომი უკუკავშირი, უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის სახით. ექსპერტთა ჯგუფმა სათანადოდ განიხილა დაფიქსირებული პუნქტები და შეიტანა შემდეგი ცვლილებები დასკვნის პროექტში, რაც ასახავს და აძლიერებს პროცესის ეფექტურობას.

1. **უსდ-ს წარედგინა შემდეგი რეკომენდაცია:** *რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსები ითვალისწინებდეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომლის მიღწევაც შესაძლებელია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. კურსის სილაბუსებში, შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია უფრო კონკრეტულად უნდა იყოს მოცემული.*

უსდ-მ წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია და მტკიცებულება, რომ ამის განვითარებისა და მუდმივი გამოყენების უზრუნველყოფა გაცნობიერებული აქვთ. აღნიშნული იყო: „აღსანიშნავია, რომ თითოეული სასწავლო კურსის მიზნები და სწავლის შედეგი ფასდება კონკრეტულ სილაბუსში არსებული აქტივობებით. ეს შეიძლება იყოს: ესსე, რეფერატი, პრეზენტაცია, შუალედური და დასკვნითი გამოცდა, სემინარი, აქტივობა.“

სასწავლო კურსების შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ კი, 2007 წლის 5 იანვრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებითაა გაწერილი 1-2, ან 1-3 ბალიანი ინტერვალით, დეტალიზებულია და ითვალისწინებს დარგობრივ თემატიკას.“ ვიზიტის დროს, სტუდენტებთან გამართული ინტერვიუებიდან, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ზოგიერთ საგანში, სტუდენტებს სილაბუსები წინასწარ არ ეგზავნებათ და არ აქვთ სრულყოფილი წარმოდგენა შესასწავლ საგნებსა და შეფასების რუბრიკებზე. რაც შეეხება სილაბუსებს, ცალკეული შემთხვევების გარდა, გაწერილია შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, თუმცა სასურველია მეტი მრავალფეროვნება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თანახმაა შეცვალოს ეს რეკომენდაცია და გადააკვალიფიცორს რჩევად, თანმიმდევრულობის მიღწევის კონტექსტში.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი - ჩვენ ვეთანხმებით ამ არგუმენტირებულ პოზიციას და სათანადოდ ვაღიარებთ, რომ ეს რეკომენდაცია გადავიდა რჩევების კატეგორიაში

2. **უსდ-ს წარედგინა შემდეგი რეკომენდაცია:** *განიხილეთ სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის გზები, რომ მათთვის უფრო ნათელი გახდეს პროგრამის ფუნქციონირებისა და აკადემიური მოთხოვნები - მაგალითად, შეიმუშავეთ და დანერგეთ სტუდენტური პორტალი (სადაც სასწავლო კურსების შესახებ ისეთი დეტალური ინფორმაცია იქნება მოცემული, როგორცაა: გამოცდის თარიღები, გამოცდის შედეგები, შეფასებები, სილაბუსები, ცხრილები, საკონსულტაციო საათები).*

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შემდეგი პასუხი: „წარმოდგენილ რეკომენდაციას დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური პორტალი, სადაც განთავსებული იქნება

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ, სტუდენტის სასწავლო ბარათი, საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები და ა.შ., დაწესებულებას უკვე შექმნილი აქვს და მისი მეშვეობით ფართო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის უკვე ხელმისაწვდომია მათთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაცია. გარდა სტუდენტური სასწავლო პორტალისა, აქტიურია დაწესებულების ვებგვერდი, სადაც სიახლეების ველში ყოველდღიურად თავსდება სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის საინტერესო ინფორმაცია, აკადემიური კალენდარი, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი და სხვ. უნივერსიტეტის სივრცეში, ეფექტური და საქმიანი კომუნიკაციისთვის აპრობირებული გზაა ელექტრონული ფოსტა და სოციალური პლატფორმის ვებგვერდი. მიუხედავად აღნიშნულისა, სტუდენტებთან კომუნიკაციის გააქტიურებაზე უწყვეტი ზრუნვა უნივერსიტეტის პრიორიტეტია, რა მიზნითაც, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უკვე ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან.“ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულია, რომ დაწესებულებამ ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო, რეკომენდაცია რჩება უცვლელად.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი - ჩვენ განვიხილეთ ეს არგუმენტირებული პოზიცია, და ჩვენ ექსპერტული მოსაზრება უცვლელია

3. უსდ-ს წარედგინა შემდეგი რეკომენდაცია: *რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის ტრენინგების გაძლიერება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს უკეთ გაიგონ კურსის მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები, სტუდენტების შეფასების მეთოდოლოგიები, ასევე ჩაუტარდეთ ტრენინგები სწავლების მეთოდებსა და მეთოდოლოგიებზე. ეს უზრუნველყოფს, რომ პერსონალი კარგად იყოს აღჭურვილი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა მიზნებისა და შედეგების მიღწევაში.*

მიუხედავად იმისა, რომ უსდ-მ განაცხადა, რომ „დაწესებულება არ ეთანხმება წარმოდგენილ რეკომენდაციას“, ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ქვემოთ მოცემულ განცხადებას: „მიუხედავად ამისა, ვიზიარებთ აზრს და ვდგავართ იმ პოზიციაზე, რომ მნიშვნელოვანია ფართო საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, განსაკუთრებით კი პროგრამების განმახორციელებელ გუნდთან აქტიური კომუნიკაციის შენარჩუნება და გაღრმავება.“ უსდ-მ ასევე აღნიშნა: „მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან 2023 წლის საანგარიშო პერიოდში რამდენიმე შეხვედრა გაიმართა (მათ შორის, ონლაინ), რომელიც ემსახურებოდა მათი ინფორმირებულობის გაზრდას ინსტიტუციურ დონეზე განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მათი თანამონაწილეობის გააქტიურებას. მეტიც, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები, რომელთა ანალიზის საფუძველზე რიგი ცვლილებები განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ განახლებულ პროგრამებში და სასწავლო კურსებში.“ დადასტურებული ინფორმაციისა და დამხმარე მიდგომის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი თანახმაა რომ ამოიღოს ეს რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი - ჩვენ ვეთანხმებით ამ არგუმენტირებულ პოზიციას და სათანადოდ ვაღიარებთ, რომ ეს რეკომენდაცია ამოღებულია.

4. უსდ-ს წარედგინა შემდეგი რეკომენდაცია: *უზრუნველყავით პლაგიატის გამოვლენის ინსტრუმენტის წარმატებით განხორციელება.* მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია ფორმულირებული იყო როგორც "უზრუნველყავით წარმატებით განხორციელება.....“, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, უსდ-მ წამოაყენა შემდეგი არგუმენტი:

უნივერსიტეტს შექმნილი აქვს პლაგიატის პრევენციისა და აღმოჩენის პროგრამა „TURNITIN“, რომელიც ეტაპობრივად ინტეგრირდება სასწავლო კურსებში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ეთიკის კოდექსი და პლაგიატის საკითხი, ისევე როგორც სხვა აკადემიური გადაცდომის შემთხვევები მკაცრად რეგულირდება, განსაკუთრებით კი აკადემიური პერსონალის შემთხვევაში. აღნიშნული დასტურდება თავად დასკვნის პროექტის ტექსტითაც. კერძოდ, 4.2. კომპონენტის

აღწერილობით ნაწილში მოხსენიებულია შიდა-საუნევერსიტეტო დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს, აკადემიური ეთიკის და კეთილსინდისიერების საკითხებს, მათ შორის პლაგიატის პრევენციისა და აღმოჩენის პროგრამა „TURNITIN“-ი.

ხსენებული პროგრამის გამოყენება და ზოგადად, დაწესებულების ზრუნვა პლაგიატის პრევენციის მიმართულებით დასტურდება აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტის სხვა ნაწილშიც. კერძოდ, შემდეგ პუნქტებში:

a) 2.4 კომპონენტის აღწერილობითი ნაწილში სადაც აღნიშნულია: „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესები და პირობები გამჭვირვალე და კანონის შესაბამისია. სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა კვლევის კომპონენტის ბოლო ნაწილია. დაცვამდე ნაშრომი მოწმდება პლაგიატის, დაწესებულების მიერ დადგენილი ანტიპლაგიატის წესის შესაბამისად.“

b) 4.1 კომპონენტის აღწერილობითი ნაწილში, სადაც აღნიშნულია: „ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად შეთავაზებულ სიახლეების დანერგვის გასაადვილებლად მათ გავლილი აქვთ ტრენინგები. კერძოდ, პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის „Turnitin“ გაცნობა და განხორციელება...“ და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ რეკომენდაცია საფუძველს მოკლებულია. ექსპერტთა ჯგუფს ესმის აღნიშნული არგუმენტაცია, თუმცა სწამს, რომ აღნიშნულის, როგორც კარგი პრაქტიკის, მონიტორინგი და ინტეგრირებაა საჭირო, შესაბამისად ეს რეკომენდაცია შესაძლებელია რომ გადაკვალიფიცირდეს.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი - ჩვენ ვეთანხმებით ამ არგუმენტირებულ პოზიციას და სათანადოდ ვაღიარებთ, რომ ეს რეკომენდაცია გადავიდა რჩევების კატეგორიაში

5. უსდ-ს წარედგინა შემდეგი რეკომენდაცია: *სასურველია, ისწრაფოდეთ უფრო მეტად ყოვლისმომცველი გარე შეფასების მიღებისკენ, რათა უზრუნველყოთ პროგრამის შინაარსისა და განხორციელების კრიტიკული მხარდაჭერა და საუკეთესო პრაქტიკასთან შედარება.*

უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, აღნიშნული რეკომენდაცია საფუძველსმოკლებულია. მეტიც, უსდ-მ აღნიშნა, რომ: „ექსპერტთა დასკვნაში, აკრედიტაციის სტანდარტების იმ კომპონენტებში, რომლებიც ეხება საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს, კურიკულუმის სტრუქტურასა და სასწავლო კურსების შინაარსს, არ არის მოცემული არც ერთი დარგობრივი რეკომენდაცია. შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი სრულად შეესაბამება როგორც ადგილობრივ დარგობრივ მახასიათებელს, ლოკალური შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნებს, ისე ითვალისწინებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილებას.“ ექსპერტთა ჯგუფი მაინც მიიჩნევს, რომ ეს სათანადო გაუმჯობესება იქნებოდა, თუმცაღა, აღნიშნული პოზიცია ზოგადად მისაღებია.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი - ჩვენ ვეთანხმებით ამ არგუმენტირებულ პოზიციას და სათანადოდ ვაღიარებთ, რომ ეს რეკომენდაცია გადავიდა რჩევების კატეგორიაში

6. უსდ-ს წარედგინა შემდეგი რეკომენდაცია: *შეიმუშავეთ დოკუმენტაცია და სისტემური მიდგომები, რომ მხარი დაუჭიროთ ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის გაუმჯობესებას; მაგალითად, გაწერეთ მკაფიო პროცესი პერიოდული შეფასებისთვის.*

უსდ-მ აღნიშნა: წარმოდგენილ რეკომენდაციას დაწესებულება ვერ დაეთანხმება რიგი ფაქტობრივი მოცემულობებისდა გამო. სახელდობრ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს როგორც ხარისხის

უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკა, ისე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები და სხვ. აღნიშნული დოკუმენტები დეტალურად და ეტაპობრივად განსაზღვრავს სწავლა-სწავლებისა და კვლევის, ისევე როგორც საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებსა და პროცედურებს, ამასთან ხსენებულ პროცესებში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შესაძლებლობებსა და უფლება-ვალდებულებებს.“ მართალია, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ არსებობს ამის მხარდამჭერი მტკიცებულება, თუმცა რეკომენდაცია გაცემული იყო, როგორც გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მიდგომა. შესაბამისად, შესაძლებელია ამ რეკომენდაციის გადაკვალიფიცირება.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი - ჩვენ ვეთანხმებით ამ არგუმენტირებულ პოზიციას და სათანადოდ ვაღიარებთ, რომ ეს რეკომენდაცია გადავიდა რჩევების კატეგორიაში

7. უსდ-ს წარედგინა შემდეგი რეკომენდაცია: *პროგრამის გუნდმა და სასწავლო პერსონალმა უნდა ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან, რათა ჩამოუყალიბდეთ აკრედიტებული პროგრამის მიწოდების მოთხოვნების საკუთარი აღქმა, ხარისხის კულტურის დანერგვით, რომელიც ხელს უწყობს როგორც სტუდენტთა, ასევე პერსონალის სამუშაოს.*

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შემდეგი პასუხი: „წარმოდგენილ რეკომენდაციას დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება. მოგეხსენებათ, ხარისხის კულტურის გაძლიერებაზე ზრუნვა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებასა და გამოწვევას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მათ შორის, არც გალობის უნივერსიტეტი გამონაკლისი. ხარისხის კულტურის ცნების ფართომასშტაბიანი და ყოვლისმომცველი გაგების დანერგვის მიზნით, დაწესებულებამ უკვე არაერთი ნაბიჯი გადადგა, თუმცა აღნიშნული მიმართულებით გვესმის რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამ მიზნით, სამსახურს დაგეგმილი აქვს რამდენიმე მიზნობრივი სამუშაო შეხვედრის ჩატარება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ისე პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან და სტუდენტებთან. შეხვედრებზე სიღრმისეულად იქნება განხილული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის პროცესებთან დაკავშირებული გამოწვევები, იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები და მათი გადაჭრის გზები.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი - განვიხილეთ ეს არგუმენტირებული პოზიცია, და ჩვენი ექსპერტული მოსაზრება უცვლელია

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ ეხება

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური

⁵ შეფასების მიდგომები: **საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლეს სასწავლებელს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული და კარგად გააზრებული მისია, რომელიც ემყარება 7 წლიანი განვითარების გეგმას, საკუთარი ხედვის რეალიზების მიზნით. მისია მოიცავს სამ პერსპექტივას, რომელიც დაფუძნებულია ქართული ტრადიციული ხელოვნებისა და კულტურის დაცვაზე, განვითარებასა და პოპულარიზაციაზე⁶. ეს გამყარებულია ხედვით, რომელიც იაზრებს უსდ-ს კონტექსტს და მასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს. მისიაც და ხედვაც ჩაშლილია და აისახება კლასტერში არსებულ პროგრამებში. კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამის მიზნები/ ამოცანები კონკრეტულად ასახავს მისიის სამ პერსპექტივას, შესაბამისად, თავიდანვე გთავაზობს კონსტრუქციულ შესაბამისობას. კლასტერში შემავალი თითოეული პროგრამების შემთხვევაში, შეფასებულია, რომ პროგრამის ამოცანები და სწავლის შედეგებთან მათი კავშირი ლოგიკურია და შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ტრადიციული მუსიკა, საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის დოკუმენტის (სილაბუსის) ფარგლებში ნათლად არის გადმოცემული საბაკალავრო პროგრამის მიზნები/ამოცანები:

1. ქართული ტრადიციული მუსიკის (ქართული ხალხური სიმღერა და საეკლესიო გალობა) სფეროში ფართო და საბაზისო თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის, საეკლესიო და ფოლკლორული გუნდის წევრის, ლოტბარისა და რეგენტის მომზადება, რომელსაც ეცოდინება ქართული მართლმადიდებლური საეკლესიო ღვთისმსახურების სრული სამგალობლო რეპერტუარი, ქართული ხალხური მუსიკის სასიმღერო და ინსტრუმენტული შესრულების ტრადიციები, თავისებურებები, ფორმები და ხერხები.
2. მისცეს კურსდამთავრებულს მრავალსაუკუნოვანი ქართული გალობის/სიმღერის ისტორიისა და თეორიის, ქართული ტრადიციული მუსიკის მხატვრულ-ესთეტიკური ნორმების შესახებ სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა.
3. გამოუმუშავოს საშემსრულებლო-პრაქტიკული, სალოტბარო და სარეგენტო უნარ-ჩვევები, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს ქართული ტრადიციული ხალხური მუსიკისა და

⁶ მისიის განაცხადის შეჯამება

საკლესიო გალობის საშემსრულებლო მანერის, სტილის, ხმათა შეწყობის თავისებურებების ჯეროვანი დემონსტრირება და შესრულება, გუნდის მართვა და დირიჟორობა.⁷

მიზნები/ამოცანები განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რაც წარმოდგენილია როგორც დაწესებულების სტრატეგიული ხედვის, ასევე უნიკალური კულტურის კონტექსტში და განსაზღვრავს იმას, თუ როგორ შეიტანს დარგში წვლილს მათი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები და როგორ შეუწყობს ხელს უფრო ფართო საზოგადოებრივი ამოცანების მიღწევას. კერძოდ, პროგრამის მიზნები რეალისტურია და მკაფიოდ არის დაკავშირებული სწავლის შედეგებთან; ისინი მოცემულია თანმიმდევრულ და მკაფიო პროგრამულ დოკუმენტში, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის დოკუმენტში (სილაბუსში), მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები/ამოცანები (aims/objectives) ნათლად არის გადმოცემული, თუმცა მითითებულია, როგორც “Goal of Master’s programme”.

- 1. ქართული ტრადიციული მუსიკის თეორიის, ისტორიისა და ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დარგობრივი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელსაც ექნება საკლესიო მუსიკის ისტორიის, თეორიისა და ეთნომუსიკოლოგიის სფეროში საფუძვლიანი, სიღრმისეული ცოდნა, დაფუძნებული ქართული ტრადიციული მუსიკის სისტემურ შესწავლაზე;*
- 2. უზრუნველყოს დარგის მაღალკვალიფიციური მკვლევრის მომზადება, რომელიც ფლობს ქართული ტრადიციული მუსიკის სფეროში კვლევის უახლეს მეთოდოლოგიას, შემოქმედებით და სამეცნიერო აზროვნების პრინციპებს და შეუძლია სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის (უპირატესად მართლმადიდებლური) გალობის და სხვადასხვა ხალხთა სამუსიკო ტრადიციების შესწავლის საფუძველზე აწარმოოს შედარებითი და ანალიტიკური კვლევა;*
- 3. მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია მულტიკულტურულ გარემოში მაღალი პასუხისმგებლობით დამოუკიდებელი მუშაობა, სხვა ხალხთა სამგალობლო კულტურისა და მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციების სისტემური შესწავლა, გაზიარება და პატივისცემა.⁸*

როგორც საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, აქაც, პროგრამის მიზნები/ამოცანები (aims/objectives, თუმცა დოკუმენტში წერია goal) განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რაც წარმოდგენილია როგორც დაწესებულების სტრატეგიული ხედვის, ასევე უნიკალური კულტურის კონტექსტში და განსაზღვრავს იმას, თუ როგორ შეიტანს დარგში წვლილს მათი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები და როგორ შეუწყობს ხელს უფრო ფართო საზოგადოებრივი ამოცანების მიღწევას. აქაც, პროგრამის მიზნები რეალისტურია და მკაფიოდ არის დაკავშირებული სწავლის შედეგებთან; ისინი მოცემულია თანმიმდევრულ და მკაფიო პროგრამულ დოკუმენტში, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია. პროგრამა ასევე ასახელებს დასაქმების სავარაუდო სფეროებს, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის მიზნების შესაბამის კონტექსტს და იძლევა სამომავლო დასაქმების კონკრეტულ მაგალითებს, რაც მოწმობს შრომის ბაზრის

⁷ პროგრამის დოკუმენტი (საბაკალავრო პროგრამა)

⁸ პროგრამის დოკუმენტი (სამაგისტრო პროგრამა)

მოთხოვნებთან შესაბამისობას (კონკრეტულად, საჭირო მოთხოვნებთან და უნარებთან).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი, სამაგისტრო პროგრამა)

ართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებლის სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტში, მიზნები/ამოცანები (aims/objectives) მკაფიოდ არის გაწერილი, თუმცა აქაც, გამოყენებულია სიტყვა „goal“.

- 1. ქართული ტრადიციული მუსიკის მიმართულებით ღრმა და სისტემური პრაქტიკულ-თეორიული ცოდნის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დარგობრივი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელსაც ექნება საეკლესიო გალობისა და ხალხური მუსიკის შემსრულებლობის სფეროში მაღალი ოსტატობა, ფოლკლორული და მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელობის უნარები, დაფუძნებული ქართული ტრადიციული მუსიკის სისტემურ შესწავლაზე.*
- 2. უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური მუსიკოს-შემსრულებლის, ლოტბარისა და რეგენტის მომზადება, რომელიც ფლობს ქართული ტრადიციული მუსიკის სფეროში შემოქმედებითი, იმპროვიზაციული აზროვნების პრინციპებს და შეუძლია მუსიკალური ინტერპრეტაციის ამოცანების გადაჭრა საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების დროს.*
- 3. მოამზადოს კონკურენტუნარიანი შემსრულებელი, ლოტბარი/რეგენტი, რომელსაც შეუძლია მულტიკულტურულ გარემოში მაღალი პასუხისმგებლობით დამოუკიდებელი მუშაობა, სხვა ხალხთა სამგალობლო კულტურისა და მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციების შეფასება, გაზიარება და პატივისცემა.*

ზემოაღნიშნული ადასტურებს ღრმა ერთგულებას სამაგისტრო დონის სწავლების პრინციპებისადმი, განსაკუთრებით მიღწევის დონის აღქმისადმი, გათვალისწინებულია კულტურული კონტექსტი და დარგობრივი მოთხოვნები, რომელთაც საფუძვლად უდევს ავტონომიური მუშაობის მიღწევა. აქაც, პროგრამის მიზნები რეალისტურია და მკაფიოდ არის დაკავშირებული სწავლის შედეგებთან; ისინი მოცემულია თანმიმდევრულ და მკაფიო პროგრამულ დოკუმენტში, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია. პროგრამა ასევე ასახელებს დასაქმების სავარაუდო სფეროებს, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის მიზნების შესაბამის კონტექსტს. მიზნები/ამოცანები (aims/objectives, ნახსენებია, როგორც goal) განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რაც წარმოდგენილია როგორც დაწესებულების სტრატეგიული ხედვის, ასევე უნიკალური კულტურის კონტექსტში და განსაზღვრავს იმას, თუ როგორ შეიტანს დარგში წვლილს მათი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები და როგორ შეუწყობს ხელს უფრო ფართო საზოგადოებრივი ამოცანების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მისია/ხედვა
- თვითშეფასების ანგარიში
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030
- პროგრამის დოკუმენტები
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები

რჩევები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ტრადიციული მუსიკა, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები: სასურველია გამოიყენოთ თანმიმდევრული ენა პროგრამის დოკუმენტში მოცემულ სათაურებში (მიზანი და/ან ამოცანა) (aim/objective and/or goal)

პროგრამა 3 (ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები: სასურველია გამოიყენოთ თანმიმდევრული ენა პროგრამის დოკუმენტში მოცემულ სათაურებში (მიზანი და/ან ამოცანა) (aim/objective and/or goal)

შეფასება⁹

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

⁹ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე

ტრადიციული მუსიკა, მე-6
დონე

პროგრამა 2

სამაგისტრო პროგრამები -
მუსიკოლოგია (ქართული
ტრადიციული მუსიკა), მე-
7 დონე

პროგრამა 3

სამაგისტრო პროგრამა -
ქართული ტრადიციული
მუსიკის ლოტბარ-
შემსრულებელი-
მე-7 დონე

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის დოკუმენტში წარმოდგენილი სწავლის შედეგები თანმიმდევრულია როგორც ბენჩმარკინგის მიდგომაში (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო), ასევე კარგად არის შესაბამისობაში პროგრამების ყოვლისმომცველ მიზნებთან/ამოცანებთან (aims/objectives, ნახსენებია, როგორც goal). სწავლის შედეგების შეფასების დონე შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურის დონეს, ისევე როგორც შესაბამისი საფეხურის მოლოდინებსა და სირთულეს. სწავლის შედეგები გამოიხატება ცხრილის სახით, ასახულია კომპეტენციების ძირითადი სფეროები, რომლებიც მოიცავს ცოდნას და გაგებას, უნარებს და ავტონომიას და პასუხისმგებლობას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს დონის შესაბამის თავისებურებებს, რაც შემდგომ აისახება თითოეული პროგრამის სწავლის შედეგებსა და შესაბამის ინდიკატორებში/მტკიცებულებებში.

სწავლის შედეგების შემუშავების პროცესისადმი, გასაუბრების დროს, დიდი მხარდაჭერა დაფიქსირდა; კერძოდ, აღნიშნეს, რომ პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი ხასიათდებოდა ძლიერი კოლაბორაციული მიდგომით, სილაბუსის განხილვის (პროგრამის დოკუმენტის) ყოვლისმომცველი განხილვის ფარგლებში, სამუშაო ჯგუფების შემუშავებისა და განხორციელების გზით. აღნიშნეს, რომ პროცესს შედეგად მოჰყვა დიდი ცვლილებები სწავლის შედეგებში და რომ ყველა სილაბუსის ჯვარედინი შემოწმება მოხდა, სხვადასხვა მიდგომებით; გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის ინფორმაცია და მოიცავდა დაინტერესებულ მხარეთა რესურსებს.

პროგრამის სწავლის შედეგები გვთავაზობს აღწერითი შინაარსის შესანიშნავ დონეს, მკაფიოდ გადმოსცემს ცოდნას, უნარებს და ავტონომიის მოსალოდნელ დონეს; სწავლის შედეგები გაზომვადი და რეალისტურია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ტრადიციული მუსიკა, საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის დოკუმენტში/სილაბუსში ასახული სწავლის შედეგები დაფუძნებულია და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან/ამოცანებთან და დასაქმების სფეროსთან ან/და სწავლის გაგრძელების პერსპექტივასთან. დასაქმების თვალსაზრისით ეს კონტექსტუალიზაცია ხელს უწყობს სწავლის შედეგების დაკავშირებას მტკიცებულებებთან/ინდიკატორებთან, რაც ხელს შეუწყობს მიღწევის დემონსტრირებას. ისინი გამოთქმულია ისეთი ენით, რომელიც შესაფერისია ბაკალავრის დონის სწავლებისთვის, არის კონკრეტული რამეთუ რეალისტურად დაკავშირებულია სტუდენტური გამოცდილების მოლოდინებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), სამაგისტრო პროგრამა)

სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს/ამოცანებს და დასაქმების სფეროს. ისინი გამოთქმულია ისეთი ენით, რომელიც შესაფერისია სამაგისტრო დონის სწავლებისთვის, არის კონკრეტული რამეთუ რეალისტურად დაკავშირებულია სტუდენტური გამოცდილების მოლოდინებთან. სამაგისტრო დონის სწავლება აღიარებულია სწავლის შედეგებში გამოთქმული ლექსიკის დონის მიღწევით და კონკრეტულად კონტექსტუალიზებულია დასაქმების კუთხით, რაც ეხმარება სტუდენტებს პროგრამის მოთხოვნების გაგებასა და მიღწევაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი, სამაგისტრო პროგრამა)

სწავლის შედეგებიდან ვლინდება სწავლის სფეროსა და დასაქმების სფეროსადმი დიდი დაინტერესება და მათი სათანადოდ აღქმა. ისინი გამოთქმულია ისეთი ენით, რომელიც მოწმობს, რომ უსდ-ს გააზრებული აქვს სამაგისტრო დონის სწავლების მოთხოვნები, არის კონკრეტული, რამეთუ რეალისტურად დაკავშირებულია დასაქმების სფეროს მოლოდინებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები: კურსდამთავრებულები
- ინტერვიუს შედეგები: სწავლის შედეგების განხილვის პროცესი
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 1.3. შეფასება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ- შემსრულებელი- მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი პროგრამების დოკუმენტები/სილაბუსების მე-10 პარაგრაფში აღნიშნულია „სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები“ -ამას ემატება კურიკულუმის მეფინგის დოკუმენტები. მე-11 პარაგრაფის სათაურია „სტუდენტების შეფასების სისტემა“, რომელიც ასახავს შეფასების შკალის მეთოდოლოგიას, თუმცა არ არის მოცემული როგორ ხდება კრიტერიუმების გამოყენება ან როგორ ხდება მტკიცებულების მეფინგი სწავლის შედეგებთან. შეუძლებელი იყო იმის შეფასება, თუ რა სახით ახერხებენ სტუდენტები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან ინტეგრაციას პრაქტიკაში, თუმცა სტუდენტთა შეფასების სისტემა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

თითოეული პროგრამის დოკუმენტის მე-10 პარაგრაფში, მთელი რიგი სწავლა-სწავლების მეთოდებია ჩამოთვლილი; დეტალურად არის გაწერილი, თუ როგორ უნდა მიიღონ სტუდენტებმა მონაწილეობა სხვადასხვა თვით-მართვად აქტივობასა და/ან სპეციალურ პროექტში. ადგილზე ვიზიტის დროს, სტუდენტებს ვკითხეთ, გასაგებად ესმოდათ თუ არა რომელი შეფასება რომელ სწავლის შედეგზე გადიოდა. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ ყოვლისმომცველი ჩარჩო, თუმცა ყოველთვის ვერ უკავშირებენ მოცემული დავალების შეფასებას განსაზღვრულ სწავლის შედეგს.

გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შეფასების შემუშავების პროცესსა და შეფასების შედეგების გამოყენებაში, პროგრამის სამომავლო გაუმჯობესებისთვის: „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის პროგრამული თვითშეფასების ანგარიშით / 31 შეფასების ჯგუფით, რომლის შემადგენლობას ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი.“¹⁰ ასევე ნათქვამია, რომ 4-წლიანი პროგრამის ციკლის დასრულების შემდეგ განხორციელებული შეფასება გამოიყენება პროგრამაში სამომავლოდ, ინფორმირებული ცვლილებების განსახორციელებლად.

თვითშეფასების ანგარიშში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების კლასტერული მიდგომა და აღწერილია პროგრამის შემუშავების მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- კურიკულუმის რუკა
- პროგრამის დოკუმენტები
- ინტერვიუების შედეგები

¹⁰ თვითშეფასების ანგარიში გვ.30

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სტუდენტებისთვის დააზუსტეთ თუ რა განსხვავებაა შესაფასებელ დავალებასა და მასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგს შორის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი-მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს შემოთავაზებული აქვს სამი საგანმანათლებლო პროგრამა, აქედან ორი: ქართული ტრადიციული მუსიკის საბაკალავრო პროგრამა და მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა) სამაგისტრო პროგრამა უკვე ფუნქციონირებს, თუმცა შეიცვალა და უსდ-ს გარდამავალ ეტაპზე ტრანსფორმირდა. მესამე პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებლის სამაგისტრო პროგრამა კი ახლად შექმნილია და წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის ლოგიკურ გაგრძელებას და ახალ საფეხურს.

კლასტერში წარმოდგენილი სამი პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების საფეხურს, საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის შესაბამისად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამების შემუშავება და ფორმულირება იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე.

საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული ფორმით. პროგრამების დიზაინი და სტრუქტურა შეესაბამება სტანდარტს. თითოეული პროგრამა მოცემულია სასწავლო გეგმის და მასში შემავალი სასწავლო კურსების სახით, რომლებიც ნაწილდება სავალდებულო და არჩევითად. თუ უფრო დეტალურად განვიხილავთ, სასწავლო კურსების დაჯგუფების ფორმა თითოეული პროგრამისთვის ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მათ შინაარსსა და სპეციფიკაზე. თითოეულ პროგრამაში წარმოდგენილი იქნება, თუ როგორ არის კლასიფიცირებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები.

თითოეული პროგრამის პირველ გვერდზე გამოსახულია მაღალმხატვრული ლოგო, უნივერსიტეტის, ფაკულტეტის და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებები. პროგრამის ხელმძღვანელების სახელები და მათი აკადემიური თანამდებობები აქ არის ჩამოთვლილი. თითოეულ პროგრამას აქვს მსგავსი სტრუქტურა და შედეგა შემდეგი პარაგრაფებისგან, რომლებშიც შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი:

1. პროგრამის სახელწოდება
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით. ისინი წარმოდგენილია ძირითადი სპეციალობის სავალდებულო, საფაკულტეტო სავალდებულო და საფაკულტეტო არჩევითი კურსების კრედიტების რაოდენობით.
4. სწავლების ხანგრძლივობა, წარმოდგენილია სასწავლო წლებისა და სემესტრების რაოდენობით. ამ ნაწილში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: „აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისგან და მოიცავს 30 კვირას. სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობაა 15 კვირა.“

5. სწავლების ენა საერთოა სამივე პროგრამის შემთხვევაში - ქართული
6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რომელიც დეტალურად არის მოცემული სამ დასახელებულ დოკუმენტში
7. დასაქმების სფერო
8. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
9. სწავლის შედეგები წარმოდგენილია შემდეგნაირად: 1. ცოდნა და გაცნობიერება 2. უნარი, 3. ავტონომია და პასუხისმგებლობა. 2. მიმოიხილავს ქართული ტრადიციული მუსიკის განვითარების ისტორიასა და თეორიას, თავისებურებებს, ჟანრებს, დიალექტებს
10. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები

პროგრამები იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, როგორცაა დისკუსია, კითხვა-პასუხის სესია, პრეზენტაცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დემონსტრირება და ა.შ. ამასთან, სამაგისტრო პროგრამებისთვის გამდიდრებულია მეთოდებისა და აქტივობების ჩამონათვალი და ითვალისწინებს თითოეულის სპეციფიკას. მაგალითად, პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლობარ-შემსრულებელი ორიენტირებულია სტუდენტების საშემსრულებლო და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება რეპეტიციები, საკონცერტო წარმოდგენები, მონაწილეობა ფესტივალებსა და სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში ჩართვა.

11. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა (განხილულია 2.4-ში)

12. პროგრამის სტრუქტურა

ყველა სასწავლო კურსის ჩამონათვალი ცხრილის სახით არის წარმოდგენილი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. ცხრილში მითითებულია სასწავლო კურსის სტატუსი, ECTS-ის რაოდენობა და საკონტაქტო საათები (ყოველკვირეული და სემესტრული დატვირთვა), აგრეთვე, რომელ სასწავლო სემესტრში ისწავლება იგი.

13. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ერთი და იგივეა სამივე პროგრამისთვის: სასწავლო პროცესისთვის გამოიყენება უნივერსიტეტის აუდიტორიები, ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა, ჩამწერი სტუდია და ინვენტარი. უახლესი კომპიუტერები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან და აღჭურვილია სტანდარტული პროგრამული პაკეტით, საშუალებას მისცემს სტუდენტებს მოიძიონ ინფორმაცია ინტერნეტში და გამოიყენონ ელექტრონული ბიბლიოთეკა და ჩამწერი სტუდია.

14. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ აღნიშნულია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი დარგის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის სასწავლო კურსით/კურსებით და პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და სხვა სტრუქტურული ერთეულების ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ტრადიციული მუსიკა, საბაკალავრო პროგრამა):

სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლობარ/რეგენტი) კვალიფიკაცია ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს სათანადო დონე შემდეგ კატეგორიებში: 1. ცოდნა და გაცნობიერება 2. უნარები და 3. ავტონომია და პასუხისმგებლობა. მაგალითად პირველ კატეგორიაში (ცოდნა) კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს შემდეგი:

1. აღწერს მუსიკის თეორიის ბაზისურ საფუძვლებს, მუსიკალურ სისტემებს, მუსიკალური ნაწარმოების გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მუსიკალური ენის ზოგად მახასიათებლებს ეპოქებისა და მიმდინარეობების მიხედვით;
2. მიმოიხილავს ქართული ტრადიციული მუსიკის განვითარების ისტორიასა და თეორიას, საშემსრულებლო ხელოვნების თავისებურებებს, ჟანრებს, დიალექტებს, სამგალობლო სკოლების ტრადიციებს;
3. მიმოიხილავს საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმთავრეს რეპერტუარს და განსაზღვრავს მათ როლს ყოფასა და ღვთისმსახურებაში;
4. აცნობიერებს როგორც საეკლესიო მუსიკის მიმართებას ქართულ ჰიმნოგრაფიასთან და მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო მეცნიერებასთან, ისე ქართული ხალხური სიმღერის ურთიერთკავშირს ყოფით ჟანრებთან და ტრადიციული ხელოვნების სხვა დარგებთან.

პროგრამა ისწავლება 4 სასწავლო წლის განმავლობაში, 8 სემესტრი (სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 30 კვირას. სემესტრის ხანგრძლივობაა 15 კვირა). პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს და მოიცავს:

- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები -172 ECTS
- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები - 20 ECTS
- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 ECTS
- საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 8 ECTS

პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება მის შინაარსს და, ზოგადად, უნივერსიტეტის მისიას.

მითითებულია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები: პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებში, მუსიკალურ-ფოლკლორულ კოლექტივებში, ანსამბლის წევრად, ან ხელმძღვანელად, საშუალო რგოლის შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, კულტურის ცენტრებში.

აქვე აღნიშნულია, რომ მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო საფეხურზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), სამაგისტრო პროგრამა)

სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში; სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში; კვალიფიკაცია ენიჭება იმ კურსდამთავრებულს, რომელსაც ექნება შესაბამისი დონე შემდეგ კატეგორიებში: 1. ცოდნა და გაცნობიერება 2. უნარები და 3. ავტონომია და პასუხისმგებლობა. მაგალითად, 3- ავტონომია და პასუხისმგებლობა: კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს შემდეგი:

- მულტიკულტურულ გარემოში ავლენს პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს, საკუთარი პროფესიული პრაქტიკის მაგალითზე ხელს უწყობს სხვა ხალხთა სამგალობლო კულტურისა და მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციების დაცვას;
- დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარ და სხვათა შემდგომი სწავლისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებს.

პროგრამა ისწავლება 2 სასწავლო წლის და 4 სემესტრის განმავლობაში. სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 30 სასწავლო კვირას. სემესტრის ხანგრძლივობაა 15 კვირა. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს და მოიცავს:

- სავალდებულო მოდული - 80 კრედიტი

- საეკლესიო მუსიკის მოდული- 30 ECTS კრედიტი;
- ეთნომუსიკოლოგიის მოდული -30 ECTS კრედიტი;
- ფაკულტეტის არჩევითი სასწავლო კურსი – 10 ECTS კრედიტი

პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას.

მითითებულია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებული მაგისტრები დასაქმდებიან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, უმაღლეს და საშუალო რგოლის შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ტელე-მედია სივრცეში, სამეცნიერო-საგამომცემლო რედაქციებში, საქართველოს საპატრიარქოში, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრში.

პროგრამა იძლევა სწავლას გააგრძელებენ უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე, შესაბამისი ან მონათესავე სპეციალობის სადოქტორო პროგრამაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი, მაგისტრატურა)

სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი/რეგენტი); კვალიფიკაცია ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს სათანადო დონე შემდეგ კატეგორიებში: 1. ცოდნა და გაცნობიერება 2. უნარები და 3. ავტონომია და პასუხისმგებლობა.

პროგრამა ისწავლება 2 სასწავლო წლის და 4 სემესტრის განმავლობაში. სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 30 სასწავლო კვირას. სემესტრის ხანგრძლივობაა 15 კვირა. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს და მოიცავს:

- სავალდებულო სასწავლო კურსები -95 ECTS კრედიტი
- ფაკულტეტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 15 კრედიტი
- ფაკულტეტის არჩევითი საგნები - 10 კრედიტი;

პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ლოგიკურად არის დაკავშირებული საბაკალავრო პროგრამის მიზანთან.

მითითებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებული მაგისტრები დასაქმდებიან უმაღლეს და საშუალო რგოლის შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრში, მუსიკალურ-ფოლკლორულ კოლექტივებში ხელმძღვანელად, ან ანსამბლის წევრად, კულტურის ცენტრებში, შემოქმედებით-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებში, საჯარო და კერძო სკოლებში.

პროგრამა იძლევა სწავლას გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე, შესაბამისი ან მონათესავე სპეციალობის სადოქტორო პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმები

- o ააიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის ზოგადი რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (დასახელება,

საფეხური),

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

დონე

პროგრამა 3

სამაგისტრო პროგრამა -
ქართული ტრადიციული
მუსიკის ლოტბარ-
შემსრულებელი-
მე-7 დონე



1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებების, თვითშეფასების ანგარიშის და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დგინდება, რომ კლასტერის ყველა პროგრამა შეფასებულია საქართველოს კანონმდებლობის და სტანდარტებთან შესაბამისად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამების შემუშავება და ფორმულირება იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. სამივე საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. საათები და მასთან დაკავშირებული ECTS კრედიტები შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას. თითოეული პროგრამა შედგება ძირითადი სასწავლო გეგმისგან და მასში შემავალი სასწავლო კურსებისგან, რომლებიც წარმოდგენილია როგორც სავალდებულო და არჩევითი კურსები. სასწავლო კურსების სტრუქტურა მათი დონის, შინაარსისა და სპეციფიკიდან გამომდინარე ინდივიდუალურია თითოეული პროგრამისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სილაბუსი წარმოდგენილია ერთი და იგივე ფორმით. მათი სტრუქტურა, მარტივი და სასიამოვნო ვიზუალური ფორმა გვეხმარება მოცემული ინფორმაციის გააზრებასა და გაგებაში. სილაბუსები კარგად არის სტრუქტურირებული, თითოეული საკითხი ჩამოყალიბებულია და წარმოდგენილია სრულად: განათლების დონე, კურსის სტატუსი, სემესტრი, სახელწოდება, ავტორისა და ლექტორის სახელი, ECTS კრედიტები, საკონტაქტო საათები, კვალიფიკაცია, სამუშაო პოზიცია, ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია, კონსულტაციის საათები, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლება-სწავლის მეთოდები, დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის შინაარსი, შეფასება, სავალდებულო ლიტერატურა, დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი. ფორმატი თანმიმდევრულია ინფორმაციის გამოყენებისა და მოცემული დეტალების დონეზე. სასწავლო კურსების ყველა კომპონენტი ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და შეესაბამება დოკუმენტის, პროგრამის და ზოგადად უნივერსიტეტის მისიის მთავარ მიზანს.

ასევე, სასწავლო კურსების განხორციელებისა და მისაღწევ შედეგებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს სასწავლო პროცესის ყველა პირობას, როგორც კონტაქტურ,

ასევე არასაკონტაქტო საათებში. აღნიშნული გულისხმობს კვალიფიციურ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და ადმინისტრაციას, რომელიც მხარდაჭერილია კეთილმოწყობილი სივრცეებით, როგორცაა აუდიტორიები, ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, უახლესი კომპიუტერები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან და აღჭურვილია სტანდარტული პროგრამის პაკეტით, ჩამწერი სტუდია, რესურსები ინსტრუმენტების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკა თავისი წიგნებითა და ნოტების კოლექციით და ელექტრონული კატალოგი. და რაც ყველაზე მთავარია, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც ავითარებს და აყალიბებს სტუდენტს, როგორც დამოუკიდებელ შემსრულებელსა და მკვლევარს.

სამივე პროგრამის სასწავლო კურსები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. წარმოდგენილია შემდეგი კურსები: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საშემსრულებლო ოსტატობა 1, 2, 3; აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერა, საშემსრულებლო ოსტატობა 1, 2, 3; ქართული ტრადიციული გალობის საშემსრულებლო ოსტატობა (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო) 1, 2, 3 და ქართული ტრადიციული გალობის საშემსრულებლო ოსტატობა (დასავლეთ საქართველო). ოთხივე დასახელებული დისციპლინა წარმოდგენილია სამი კურსით და დაყოფილია სამ სემესტრად. ასევე არსებობს სხვა სავალდებულო კურსები, როგორცაა ტრადიციული მუსიკის ნიმუშების გაშიფვრა 1,2; მართლმადიდებლური საგალობლის სტრუქტურულ-ინტონაციური თავისებურებები; ქართული ტრადიციული მუსიკალური ენის თავისებურებები; მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორი (თეორია და პრაქტიკა) 1, 2; სავლელ მუშაობის პრაქტიკა; ხმის კონტროლი/ინსტრუმენტული მუსიკა; გუნდის მართვის ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა); დირიჟორობის ხელოვნება 1, 2.

სხვა თავისუფალი კრედიტების მქონე კურსებს შორის წარმოდგენილია: ქართული ზეპირსიტყვიერების ფოლკლორი; ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორია; ლიტურგიკული ღვთისმეტყველება; დოგმატური თეოლოგია; მუსიკალური პალეოგრაფია; კოდიკოლოგიის საფუძვლები; არქეოლოგია; საფერხულო ცეკვები; კომპიუტერული აღნიშვნა; საქართველოს ეთნოლოგია და ა.შ. წარმოდგენილია არჩევითი კურსების ფართო სპექტრი სტუდენტების ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს სამ სემესტრს.

საშემსრულებლო პროგრამების ბოლო სემესტრი ეთმობა შემოქმედებით პროექტს. მუსიკოლოგიის პროგრამის ბოლო სემესტრში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი.

შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას რამდენიმე წლის წინ ჰქონდა სწავლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების სწავლების გამოცდილება და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მათ შეუქმნა ყველა პირობა კომფორტული სწავლებისათვის.

აღსანიშნავია რომ, ბევრ სილაბუსში გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, როლური თამაშის მეთოდები და სასწავლო გეგმებში ნახსენები სხვა მეთოდები. ადგილზე ვიზიტის დროს გაზიარებულ იქნა სხვადასხვა სასწავლო პროცესი, სწავლა-სწავლების მეთოდი და ფორმა, როგორცაა ლექცია და პრაქტიკული სამუშაო აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით: დემონსტრირება, დისკუსია, კითხვა-პასუხის სესია, პრეზენტაცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ანალიზი და სინთეზი. განმარტებითი მეთოდი და ა.შ.

პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტების საშემსრულებლო და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რისთვისაც აქტიურად იყენებს სარეპეტიციო სამუშაოებს, საკონცერტო წარმოდგენებს, ფესტივალებში მონაწილეობას და სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში ჩართვას.

კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აქტივობებით და თანდართული დოკუმენტებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ტრადიციული მუსიკა, საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 წელი და მისი სასწავლო კურსები იყოფა სავალდებულო, ძირითადი სფეროს არჩევით, ფაკულტეტის სავალდებულო და ფაკულტეტის არჩევით სასწავლო კურსებად. კურსები ლოგიკური თანმიმდევრობით დაყოფილია სემესტრებად. წარმოდგენილი არის 8 კურსი 1) ქართული საეკლესიო გალობის და 2) ქართული ხალხური სიმღერის; სადირიჟორო ხელოვნების 6 კურსი; 3 - სოლფეჯიო; 2 - მუსიკის თეორია; 3 - ქართული ხალხური მუსიკალური ხელოვნება; მრავალხმიანობის საფუძვლები; 3 ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია; 2 დირიჟორობის საფუძვლები; ლიტურგიული მეცნიერების შესავალი; ლიტურგიული კითხვა და ქართული ხალხური საკრავები. არჩევითი სასწავლო კურსები მჭიდროდ არის დაკავშირებული პროგრამასთან და ხელს უწყობს ეროვნული მუსიკალური და ქრისტიანული ღირებულებების, უნარების და ცოდნის შეძენას, მაგალითად, კურსები: საქართველოს ისტორია, წმინდა წერილი, აკადემიური მუსიკა, ქართული ხალხური საკრავები, ქართული ხალხური სიმღერის ნოტების საფუძვლები; ბავშვთა გუნდთან მუშაობის მეთოდოლოგია და პრაქტიკა. საფაკულტეტო კურსების სიაში შედის მუსიკალური ინფორმატიკა, ინგლისური ენა, კომუნიკაციის ტექნიკა, პრეზენტაცია და დისკუსია, აკადემიური წერა, დოგმატიკა და ა.შ.

ბოლო ორი სემესტრი ეთმობა საბაკალავრო ნაშრომს - შემოქმედებით პროექტს, რომელიც მოიცავს 15 ECTS კრედიტს. პროექტი არის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობა, ვინაიდან ის აჯამებს სტუდენტის სრულ გამოცდილებას და წარმოადგენს სტუდენტის შემოქმედებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), სამაგისტრო პროგრამა)

შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსები, როგორცაა სავალდებულო სამუშაო-ვორკშოპი 1 და 2; ქართული ტრადიციული მუსიკალური ენის თავისებურებები; მართლმადიდებლური საგალობლის სტრუქტურულ-ინტონაციური თავისებურებები; ეთნომუსიკოლოგია; ქართული ტრადიციული მუსიკის ანალიზის მეთოდოლოგია, აკადემიური წერა, მიზნად ისახავს მაგისტრის ცოდნის გაღრმავებას მუსიკოლოგიაში, მისი თეორიული ცოდნის, შემოქმედებითი, პრაქტიკული და კვლევითი უნარების, მეთოდოლოგიური უნარების განვითარებას, სამაგისტრო ნაშრომის დასრულების ხელშეწყობას და მის მომზადებას მომავალი კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობისთვის. ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში. საგნები მოიცავს მაგისტრატურის სტუდენტების დამოუკიდებელი, თვითგანათლების პროცესის აქტივობებს, რომელიც უნდა განხორციელდეს სპეციალური ლიტერატურის ინტენსიური გაცნობით და შესწავლით, საარქივო (ხელნაწერი) მასალების სისტემატური შესწავლით და გალობის ღვთისმსახურების პრაქტიკის ემპირიული გამოცდილების დაგროვებით. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს ხელნაწერებზე მუშაობას და სხვადასხვა სამეცნიერო პროექტში ჩართვას.

პროგრამის მიზანში აღნიშნულია მნიშვნელოვანი საკითხი: „მომზადდეს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია მულტიკულტურულ გარემოში მაღალი პასუხისმგებლობით დამოუკიდებელი მუშაობა, სხვა ხალხთა სამგალობლო კულტურისა და მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციების სისტემური შესწავლა, გაზიარება და პატივისცემა“. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტს გახდეს გლობალური მოქალაქე მშობლიური კულტურის შესწავლის გზით. კონკრეტულად აღნიშნული მიმართულების კურსებია: მსოფლიო ხალხური მუსიკა 1 (წინაპირობების გარეშე) და მსოფლიო ხალხური მუსიკა 2. *სავალდებულო არჩევითი ეთნომუსიკოლოგიის მოდულიდან*, ასევე კულტუროლოგია ისეთი თემებით, როგორცაა ძველი აღმოსავლური და დასავლური კულტურა, მათი დიალოგი, თანამედროვე ევროპული კულტურა და ა.შ. ისწავლება ენის, ერის, იდენტობის, ეთნოცენტრიზმის, ნაციონალიზმის, თანასწორობის და ანტირასისტული პრაქტიკის კონცეფციები,

იმისათვის, რომ მხარდჭერილი იყოს მომავალი გლობალური მოქალაქეების განვითარება, როგორც ეს მითითებულია პროგრამის მიზანში.

პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნითი ნაწილია *სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - კვლევითი გეგმა 10 ECTS* კრედიტით. ის გრძელდება მხოლოდ ბოლო სემესტრში, და წარმოადგენს საბაკალავრო საფეხურის და მაგისტრატურის წინა სამი სემესტრის მანძილზე დაგროვებული ცოდნის შეჯამებას. საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არის 2 (ჯამში 32)

ყველა სასწავლო კურსი მიზნად ისახავს ერთიანი მსოფლმხედველობის მქონე მკვლევარის ჩამოყალიბებას, რაც ფართოდ შეისწავლება შემდეგ მიმართულებებში: თეოლოგია, ქრისტიანობა, მუსიკის თეორია, ტრადიციული ქართული მუსიკა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი, სამაგისტრო პროგრამა)

აღნიშნული პროგრამა არის ქართული ტრადიციული მუსიკის საბაკალავრო პროგრამის ლოგიკური გაგრძელება. ორივე არის ერთი მიმართულების სხვადასხვა საფეხურის საშემსრულებლო პროგრამა. აღნიშნული ასახულია მიზნებში და სწავლის შედეგებში. *მაგალითად, მე-2 მიმართულებით. უნარები, კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:*

1. ტრადიციული მუსიკის ნიმუშების მუსიკალური ინტერპრეტაციის ამოცანების გადაჭრის მიზნით, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს საქმიანობას, აფასებს შემოქმედებითი-საშემსრულებლო ამოცანის განხორციელების შესაძლებლობას.
2. ახორციელებს საგალობლის სტილიზაციას სამგალობლო სკოლებისათვის დამახასიათებელი მუსიკალური კანონზომიერებების გათვალისწინებით, შესაბამისი პრინციპების დაცვით ახდენს ლიტურგიკულ ტექსტზე ჰანგის „დადების“ ცოდნის დემონსტრირებას და მრავალხმიანი ვერსიის შექმნას.
3. დამოუკიდებლად მოიძიებს, შიფრავს და აანალიზებს ქართული სამგალობლო სკოლებისა და ხალხური სიმღერის ნიმუშებს, საარქივო მასალებს, ხელნაწერებს, საგალობელთა გამოქვეყნებულ კრებულებს.
4. გეგმავს და ახორციელებს მცირე კვლევას.
5. აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე წარადგენს შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის შედეგებს. ახდენს როგორც ვერბალურად, ისე წერილობით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით მცირე კვლევის წარდგენას.

ორი პროგრამის შედეგების შედარებიდან იკვეთება, რომ სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის განსხვავებულ, უფრო მაღალ ხარისხს და ეფუძნება საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას, რომლის სწავლის შედეგები შემდეგია:

- ხელმძღვანელობს საეკლესიო და ფოლკლორულ გუნდს: ირჩევს რეპერტუარს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, განსაზღვრავს და აჯგუფებს ხმებს, არჩევს და გადააქვს უცნობი მუსიკალური ნიმუშები სანოტო სისტემაში, იცავს ქართული ტრადიციული მუსიკის ანსამბლის საშემსრულებლო თავისებურებებს, შესრულების წესებსა და პრინციპებს, სწორად ხსნის და აძლევს მითითებებს მუსიკალური ნიმუშის შესასწავლად, დროულად აღმოაჩენს და აძლევს ხარვეზებს გუნდის სწავლების/შესრულების პროცესში და სხვა;
- ასრულებს ქართული ტრადიციული მუსიკის ნიმუშებს, მათ შორის, პროგრამის ფარგლებში შესწავლილი ქართული ხალხური საკრავების გამოყენებით, საშემსრულებლო უნარების სათანადო დემონსტრირებით;
- აანალიზებს და სწავლობს მუსიკალურ ნოტებს ან აუდიო ნიმუშს და სწორად გადმოსცემს მას

სოლო და საგუნდო შესრულებაში;

- ავლენს კრიტიკული აზროვნების უნარს, შეუძლია საკუთარი და სხვისი სიმღერისა და გალობის მაგალითების შეფასება, აანალიზებს შესრულების პრობლემებს და გადაჭრის პრობლემებს;
- შეუძლია აწარმოოს აკადემიური კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შეუძლია მოიძიოს დარგთან დაკავშირებული ინფორმაცია (რეპერტუარი, ლიტერატურა) სხვადასხვა წყაროდან და გააკეთოს დასაბუთებული დასკვნები;
- სტუდიური ჩანაწერის მომზადების პროცესში ავლენს ლიდერობისა და გუნდური მუშაობის უნარებს, ინარჩუნებს ბალანსს ხმებს შორის და აჩვენებს კოორდინაციის მაღალ ხარისხს ანსამბლის წევრებს შორის.

პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან შესაბამისობა დასტურდება მისი სასწავლო კურსების ჩამონათვალით. მაგალითად, ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებლის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებია:

ქართული ტრადიციული გალობის საშემსრულებლო ოსტატობა (აღმოსავლეთი და დასავლეთი), ქართული ტრადიციული გალობის საშემსრულებლო ოსტატობა, ქართული ტრადიციული მუსიკალური ენის მახასიათებლები ტრადიციული მუსიკის ნიმუშების ტრანსკრიფცია, მსოფლიო ხალხური მუსიკა (თეორია და პრაქტიკა), დარგობრივი ინგლისური და ა.შ. 15 ECTS კრედიტის მოცულობის სამაგისტრო შემოქმედებითი პროექტი ბოლო სემესტრში.

ყველა სასწავლო კურსი მიზნად ისახავს ერთიანი მსოფლმხედველობის მქონე მკვლევარის ჩამოყალიბებას, რაც ფართოდ შეისწავლება შემდეგ მიმართულებებში: თეოლოგია, ქრისტიანობა, მუსიკის თეორია, ტრადიციული ქართული მუსიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები (კურიკულუმები);
- სასწავლო კურსების სილაბუსები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (დასახელება,

საფეხური),

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (დასახელება,

საფეხური),

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი-მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1 საგანმანათლებლო	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის
--------------------------	------------------------	-----------------	-------------------	----------------

პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი-მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს, რომელიც ეფუძნება ადგილზე ვიზიტის დროს შეგროვებულ ინფორმაციას, თვითშეფასების ანგარიშს (SER) და თანდართულ დოკუმენტაციას.

უნივერსიტეტში მისაღები მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია პროგრამების შინაარსთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკასთან. ისინი ხელმისაწვდომია და გამოქვეყნებულია ვებგვერდზე. სამივე პროგრამაზე მიღების წესები მკაფიოდ არის განსაზღვრული. მიღების ზოგადი წესები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების აპლიკანტებისთვის საერთოა სამივე პროგრამისათვის:

- საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებზე მიღება ან უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოყვანა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე;
- პროგრამაზე მობილობის მეშვეობით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

სამივე პროგრამისათვის მიღების წესების კიდევ ერთი საერთო მახასიათებელია უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შემოქმედებითი ტურები, რომლებიც განსხვავდება დონისა და პროგრამის მიხედვით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ტრადიციული მუსიკა, საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა:

1. პროგრამაზე ჩასარიცხად დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ გაცემული სერტიფიკატი ან მისი ეკვივალენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
2. პირები, რომლებიც ჩააბარებენ შემოქმედებით ტურს (სპეციალობაში და მუსიკის თეორიაში) და ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩაირიცხებიან პროგრამაზე.
3. პროგრამაზე სტუდენტების მიღება/ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებამდე მსურველი მონაწილეობას იღებს შესაბამის კონკურსში, რომელიც დადგენილია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული რეგულაციით. კონკურსი ტარდება საორიენტაციო შემოქმედებითი ტურის ფორმით. ტურის მოთხოვნები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე არაუგვიანეს კალენდარული წლის 10 დეკემბრისა, ხოლო განრიგი ქვეყნდება ერთი თვით ადრე. საბაკალავრო პროგრამების შემოქმედებითი ტური მოიცავს 1. საშემსრულებლო-პრაქტიკული უნარების გამოცდას ქართულ საეკლესიო მუსიკასა (გალობის) და ხალხურ სიმღერაში და 2. ცოდნას მუსიკის თეორიაში. შემოქმედებითი ტურების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულოა ორი გამოცდის ჩაბარება ქართულ ენასა და ლიტერატურაში და უცხო ენაში. ჩაბარების მსურველს შეუძლია აირჩიოს მესამე სავალდებულო საგანი სახელმწიფო გრანტის მისაღებად.

უნივერსიტეტი დიდ მხარდაჭერას უწევს შემოქმედებით ტურში მონაწილე პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს, ინსტიტუცია ვებგვერდზე აქვეყნებს მოთხოვნილ რეპერტუარს, საგალობლებისა და სიმღერების ნოტებს და აუდიო ჩანაწერებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა) სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამაზე მიღების წინაპირობები: სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- ბაკალავრის კვალიფიკაცია ან ბაკალავრის ხარისხის ეკვივალენტური აკადემიური ხარისხი სახელოვნებო ან ჰუმანიტარულ დარგში;
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდები
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა – შემოქმედებითი ტური
- გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური B1)

"მუსიკოლოგიის" - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატები ჩაირიცხებიან შერეული წესით, საერთო სამაგისტრო გამოცდების შემდეგ, სარეიტინგო დოკუმენტის კოეფიციენტის საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სახელოვნებო ან ჰუმანიტარული სფეროდან, შიდა გამოცდა (შემოქმედებითი ტური/ტურები) და ინგლისური ენის B1 დონე, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით ან შიდა გამოცდით.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შიდა გამოცდის დროს, წერილობითი ნაწილის გარდა, ხორციელდება აუდიოჩანაწერი. აუდიო მასალა ინახება პროგრამაზე მიღების სამსახურში და

ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამაზე მიღების წინაპირობები: სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- ბაკალავრის კვალიფიკაცია ან ბაკალავრის ხარისხის შესაბამის ან დაკავშირებულ დარგში ეკვივალენტური აკადემიური ხარისხი.
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდები
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა – შემოქმედებითი ტური
- გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური B1)

"ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება რეიტინგული სიის და შემოქმედებითი ტურების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სახელოვნებო ან ჰუმანიტარული სფეროდან, შიდა გამოცდა (შემოქმედებითი ტური/ტურები) და ინგლისური ენის B1 დონე, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით ან შიდა გამოცდით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები (კურიკულუმები);
- სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმები და მეთოდოლოგია;
- გალობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი;
- გალობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური),
რეკომენდაციები:
რჩევები:

პროგრამა 2 (დასახელება, საფეხური),
რეკომენდაციები:
რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ- შემსრულებელი- მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ცხადია, რომ კლასტერის ყველა პროგრამა - ერთი საბაკალავრო პროგრამა "ქართული ტრადიციული მუსიკა" და ორი სამაგისტრო პროგრამა - "მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)", "ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი" - შეესაბამება აღნიშნულ სტანდარტს. უნივერსიტეტში არსებული პროგრამები, მატერიალური და ტექნიკური რესურსები, აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ სხვა მიმართულებებში არსებული რესურსები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ქმნიან სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს. მიზნობრივი და შესაბამისი პროგრამებისა და მაღალკვალიფიციური კადრების ერთობლიობა სტუდენტებს უქმნის მოტივაციას. საგანმანათლებლო კურსებთან ერთად, შემოქმედებითი და სამეცნიერო პროექტები მიჩნეულია უნივერსიტეტის მისიის განხორციელების გზებად.

პროგრამას აქვს მიღების წინაპირობა, რომელიც განსაზღვრულია შესაბამის დოკუმენტში და არის პროგრამის ადეკვატური. სწავლების ენა არის ქართული. არსებული მიზნები და შედეგები ლოგიკურია. პროგრამის სწავლის მეთოდები სწავლის შესაბამისია. შეფასების სისტემა გონივრულად და გამჭვირვალედ არის წარმოდგენილი პროგრამაში. პროგრამა პასუხობს შესაბამის მოთხოვნებს და შრომის ბაზარს, რაც დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლების შესახებ წარდგენილი დოკუმენტაციით. აკრედიტაციის შემდეგ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში.

ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტების ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც დაკავშირებულია დაწესებულების მისიასთან. აღნიშნულს მოწმობს სრულიად განსხვავებული შემოქმედებითი და სამეცნიერო პროექტების სიმრავლე, რომელიც მოიცავს დიდ გეოგრაფიულ არეალს (საქართველოს რეგიონებს და მის საზღვრებს გარეთ). ეს შეიძლება იყოს საშემსრულებლო (გუნდის ხელმძღვანელობა და მასში სიმღერა), პედაგოგიური (ხალხური და საჯარო სკოლების საბავშვო ჯგუფების ხელმძღვანელობა), სამეცნიერო (კონფერენციებში მონაწილეობა, სტატიებისა და ანოტაციების მომზადება, საარქივო მასალებზე მუშაობა, გამიფვრა) და სხვა (ექსპედიციებში მონაწილეობა) აქტივობები. აღნიშნულია, რომ სტუდენტები ჩაერთვებიან უნივერსიტეტის ჩამწერი სტუდიის საქმიანობაში, გამოცემის პროცესში, ასევე მათ დაევალებათ პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, პრობლემების გადაჭრა და გადაწყვეტილებების მიღება. უნივერსიტეტი პირდაპირ არის დაინტერესებული კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხით და შეაქვს წვლილი აღნიშნული მიმართულებით. კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთ-ერთი მთავარი სფეროა რეგიონული საჯარო სკოლები. აღსანიშნავია, რომ ხშირად ასეთ სკოლაში სტუდენტი ვითარდება პროფესიონალურად და ეს ურთიერთობა ჰგავს ციკლს. გარემო, ისევე როგორც სტუდენტთა რაოდენობა (30-მდე), ხელს უწყობს ინტერესების გამოვლენას, თითოეული სტუდენტის იდეების გენერირებას და თვითრეალიზებას. ამრიგად, ფორმირებასთან ერთად უზრუნველყოფილია უნარების გაძლიერება და გამოყენება.

აღნიშნული გარემოებები ხელს უწყობს მთელი რიგი უნარების და მოტივაციის განვითარებას. ამრიგად, სტუდენტების უნარ-ჩვევები, ფორმირებასთან ერთად, ძლიერდება და გამოიყენება. როგორც დამსაქმებელმა აღნიშნა ადგილზე ვიზიტის დროს: "უნივერსიტეტი აძლევს კურსდამთავრებულებს 21-ე საუკუნის უნარებს."

სრული ინფორმაცია დასრულებული და მიმდინარე პროექტების შესახებ ყოველწლიურად ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გასული წლის პროექტების სია მართლაც შთამბეჭდავია შემდეგი ღონისძიებებით:

- ნიკოსის საკათედრო ტაძარში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ჩატარებულ წირვაში მონაწილეობა.
- სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ტრადიციული ქართული გალობის მაგალითების

პრეზენტაცია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის წევრებისათვის.

- ისიდორე სამთავნელის ხსენების დღესთან დაკავშირებით სამთავისში გამართულ სამეფო წირვაში მონაწილეობა.
- საერთაშორისო თეორიული კონფერენცია „თაობათა ცვლა“, ქუთაისი, ზ. ფალიაშვილის მე-2 მუსიკალური სკოლა – უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით.
- საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტი – „ვენებათა კვირეულის საგალობლები ქართულ საეკლესიო მუსიკაში“. პროექტის ხელმძღვანელი არის გალობის უნივერსიტეტის დეკანი, პროფესორი თამარ ჩხეიძე.
- პროფესორ მანანა ანდრიაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანული თეოლოგიის და მუსიკოლოგიის საკითხები“ - უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით.
- სტუდენტების მონაწილეობით ფოლკლორისტ ოთარ ჩიჯავაძის ციფრული ხელნაწერი ნამუშევრების შედგენა, რედაქტირება და დამუშავება
- ჩიჯავაძე-გვახარას მუსიკალური ლექსიკონის ელექტრონული გამოცემის მომზადება.
- პროექტი „სტუდენტები აბიტურიენტებისთვის“ – მისაღები გამოცდებისთვის განსაზღვრული აუდიო ნიმუშების სტუდენტური ჩანაწერების მომზადება.
- სტუდენტური ექსპედიცია სოფელ მუსხის მკვიდრ მარო ჟუჟუნაძესთან.
- მოსწავლეთა პროექტი - ლიტურგიაში მონაწილეობა სოფელ შაქმახეთში (წმ. სამების ეკლესია).
- სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა გალობის უნივერსიტეტს და ნოტრ დამის უნივერსიტეტს შორის (აშშ).
- გალობის უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნულ არქივს შორის მემორანდუმის გაფორმება.
- წმიდა ექვთიმე კერესელიძის ხსენებასთან დაკავშირებით ჩატარებულ ლიტურგიაში მონაწილეობა.
- დიმიტრი არაყიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაში მონაწილეობა, რომელიც გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.
- საშობაო ღონისძიება "ალილო 2023".

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები (კურიკულუმები);
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (დასახელება,

საფეხური),

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება.	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი-მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის "ქართული ტრადიციული მუსიკა" და სამაგისტრო პროგრამების "მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)" და "ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი" სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების დონეს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოს მათ მიღწევას. პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლების-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია პროგრამებში თეორიული და პრაქტიკულ-შემოქმედებითი კურსების სიდრმისეულ შესწავლაზე. გარდა ამისა, ის ამზადებს სტუდენტებს მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის მუსიკის სფეროში საჭირო ცოდნითა და უნარებით.

ლექციისა და სემინარის ფორმატი ხელს უწყობს ცოდნის გადაცემას და ინტერაქტიულ დისკუსიებს, ხოლო პრაქტიკული მუშაობა (როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური) აძლიერებს პრაქტიკულ სწავლებას და თანამშრომლობას. სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის მეთოდებთან დაკავშირებული სასწავლო აქტივობები მოიცავს პრობლემაზე დაფუძნებულ, თანამშრომლობით სწავლებას, ევრისტიკულ მეთოდებს, შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას, გონებრივ იერიშს, როლურ თამაშს და სიტუაციურ აქტივობებს. აღნიშნული პედაგოგიური მიდგომები ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას, რაც ხელს უწყობს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის განხორციელებას. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სწავლების-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში მზადდება ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამები ფოკუსირებულია კვლევის, კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე. აღნიშნული მიდგომა შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მოლოდინებთან და ამზადებს სტუდენტებს მოწინავე აკადემიური და შემოქმედებითი საქმიანობისთვის. დამატებით, შესასწავლი კურსებისა და კომპონენტების მრავალფეროვნება, როგორცაა საკურსო ნაშრომი, დამამთავრებელი პროექტები და თეორიული და შემოქმედებითი პროექტების პრეზენტაციები, ავლენს შეფასების მრავალფეროვან მიდგომას.

ინტენსიური სემინარის ტრენინგზე და პრაქტიკაზე აქცენტირება მნიშვნელოვანია მაგისტრანტებისთვის. აღნიშნული მეთოდები საშუალებას აძლევს მათ ჩაეფლონ პრაქტიკულ გამოცდილებაში და გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ გარემოში. ინდუქციური და დედუქციური სწავლების მეთოდების კომბინაცია, განსაკუთრებით კონკრეტულ დისციპლინებში, გვთავაზობს პრობლემის გადაჭრისა და კვლევის თვალსაზრისით მრავალმხრივ მიდგომას. სტუდენტებს შორის ჯგუფური მუშაობის გამოყენება ხელს უწყობს თანამშრომლობას და თანასწავლებას, ქმნის ინტელექტუალური და შემოქმედებითი ზრდისთვის დამხმარე და წამახალისებელ გარემოს.

სამაგისტრო პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას, წახალისოს სტუდენტები აქტიური მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ინტერვიუს დროს დასახელდა განხორციელებული საერთაშორისო თანამშრომლობის რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი. უსდ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმი რამდენიმე უცხოურ უნივერსიტეტთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და „საერთაშორისო პროექტების მართვის სამსახური“ აქტიურად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის საკითხზე, რომელიც წარმატებით ხორციელდება დაწესებულების და სტუდენტების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები
- სილაბუსები (სავალდებულო და არჩევითი საგნები)
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- პრაქტიკული კურსების სილაბუსებში, სასურველია განახლდეს და დაემატოს სწავლა-სწავლების მეთოდები.
- სასურველია, სწავლების მეთოდების ხელშეწყობისთვის დაემატოს ელექტრონული სწავლების პლატფორმა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (დასახელება,

საფეხური),

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება და სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3

სამაგისტრო პროგრამა -
ქართული ტრადიციული
მუსიკის ლოტარ-
შემსრულებელი-
მე-7 დონე



2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უზრუნველყოფენ სტუდენტების ცოდნის შეფასების ფარგლებს. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან „უმაღლესი განათლების პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც დადასტურებულია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების სილაბუსებით. პროგრამის მიხედვით, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება 100-ქულიანი სისტემით. გარდა ამისა, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს განმავითარებელ და საბოლოო (შემაჯამებელ) შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური, განმავითარებელი შეფასებისას სტუდენტის ცოდნა ფასდება სემესტრის ლექცია-სემინარისთვის ან/და პრაქტიკული მომზადებისთვის განსაზღვრულ პერიოდში. საბოლოო შეფასება მოიცავს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში. შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და საბოლოო შეფასება) განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კრედიტი არ შეიძლება მიენიჭოს შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით (შუალედური ან საბოლოო შეფასება). სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) არის შუალედური და საბოლოო შეფასების ფორმით მიღებული ქულების ჯამი.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები სტუდენტის მიერ ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩაერთვება სემესტრის სასწავლო აქტივობებში და წარმატებით ჩააბარებს როგორც შუა სემესტრულ, ასევე დასკვნით გამოცდას. აუცილებელია ორივე ტიპის გამოცდის ჩაბარება (შუა სემესტრული, დასკვნითი). დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუა სემესტრული აქტივობის მიხედვით (დასწრება-აქტივობა, შუალედური და ა.შ.) მთლიანობაში არ ექნება დაგროვებული სულ მცირე 21 ქულა. სტუდენტების ცოდნის შეფასების მიზნით გამოიყენება ზეპირი და წერილობითი კითხვარების სხვადასხვა ფორმები (ტესტი, შესწავლილი მასალის თხრობა, აბსტრაქტი/საკურსო ნაშრომი და სხვ.). ლექტორი ლექციის მსვლელობისას წინასწარ აცნობს სტუდენტებს თითოეული კითხვარის ფორმას. სტუდენტი ფასდება საკონტაქტო საათებში ნაჩვენები აქტივობის მიხედვით - დისკუსიაში მონაწილეობა, ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობა და სხვა შესაძლო აქტივობები. აღნიშნულ შემთხვევაში შეფასების მთავარი კრიტერიუმია იდეის მკაფიოდ და ლოგიკურად ჩამოყალიბებისა და გადმოცემის უნარი. სასწავლო კურსში საბოლოო შეფასების „FX“ მიღების შემთხვევაში, სტუდენტს, ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში, ერთჯერადად ეძლევა უფლება, ხელახლა გაიაროს შესაბამისი დასკვნითი გამოცდა; თუ სტუდენტი ვერ ჩააბარებს დამატებით გამოცდას, სტუდენტს ენიჭება 0 ქულა.

პროგრამის მიხედვით, შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი 91-100 შეფასების ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E)

საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. არსებობს უარყოფითი შეფასების ორი დონე: (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს სჭირდება მეტი მუშაობა ჩასაბარებლად და უფლება აქვს ჩააბაროს დამატებითი გამოცდა ერთჯერადად დამოუკიდებელი მუშაობით; (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა შეისწავლოს საგანი. პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღის შემდეგ.

გარდა ამისა, დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულების რაოდენობა არ ემატება სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50-დან 31 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს მიენიჭება შეფასება (F) - 0 ქულა. მიუხედავად იმისა, რომ კურსის სილაბუსში წარმოდგენილია შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, რეკომენდებულია კურსის სილაბუსები ითვალისწინებდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომელიც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. კურსის სილაბუსში შეფასების სისტემა, ფორმები, კომპონენტები და მეთოდები უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული, კონკრეტული ლექციის/სემინარის დღე - უნდა გამოქვეყნდეს და წინასწარ გახდეს ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას აუცილებელია გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის წესი და პირობები, მისი დასრულება და დაცვა განსაზღვრულია ინსტიტუციის შიდა სამართლებრივი აქტებით. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის უფლება მიენიჭება პირს, რომელმაც დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი არის მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი და პირობები გამჭვირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა წარმოადგენს კვლევითი კომპონენტის საბოლოო ნაწილს. დაცვამდე ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე, ინსტიტუციის მიერ დადგენილი ანტიპლაგიატის წესის შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა და ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციებით „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი“ და მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით. დაწესებულებას აქვს სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი და გათვალისწინებულია შეფასების შედეგების გასაჩივრება. სასწავლო კურსების სისტემატური შეფასების ფარგლებში დაწესებულება აწვდის სტუდენტების უკუკავშირს კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტურობის შესახებ. ინტერვიუების შედეგებმა გამოავლინა, რომ უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია ლექტორებისთვის და ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- პროგრამების სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები
- თეორიული და პრაქტიკული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები
- წერიტი ნაშრომის შესრულების სტანდარტი
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენცია, გამოვლენა და აღმოფხვრა
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, რომ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსები ითვალისწინებდეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომლის მიღწევაც შესაძლებელია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. კურსის სილაბუსებში, შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია უფრო კონკრეტულად უნდა იყოს მოცემული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (დასახელება,

საფეხური),

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ- შემსრულებელი- მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა პროგრამის დაუფლება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე- 7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ- შემსრულებელი- მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში არსებობს შესაბამისი გარემო იმისათვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება და მრავალმხრივი მხარდაჭერა. სტუდენტებს შეუძლიათ მოითხოვონ კურსებში საგნების/ინსტრუმენტების დამატება, მაგალითად სტუდენტს სურდა ესწავლა დაკვრა ერთ-ერთ ინსტრუმენტზე და ის დაემატა პროგრამას.

უსდ ცდილობს მოარგოს ცხრილი სტუდენტების საჭიროებებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი დასაქმდებიან. ერთ-ერთმა მაგისტრანტმა აღნიშნა, რომ ცხრილი სრულად არის მორგებული მის პირობებზე და მას არ აქვს პარალელურ რეჟიმში მუშაობის პრობლემა.

სტუდენტებმა და ლექტორებმა განაცხადეს, რომ საკონსულტაციო საათები შეთანხმებულია სტუდენტებთან და მოგვიანებით მათ ეს ინფორმაცია განათავსეს საინფორმაციო დაფაზე, თუმცა ლექტორებს ეს ინფორმაცია არ აქვთ შეტანილი სილაბუსებში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ლექტორებთან კომუნიკაცია როცა ესაჭიროებათ დახმარება.

დამსაქმებლებთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ ისინი კმაყოფილები არიან კურსდამთავრებულების კვალიფიკაციით. მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტები ნამდვილად არიან კვალიფიციურები და ფლობენ ყველა საჭირო უნარს და ასევე იმ უნარებს, რაც მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნეში. ერთ-ერთმა დამსაქმებელმა ხაზი გაუსვა, რომ არა მხოლოდ კურსდამთავრებულებს, არამედ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებსაც შეუძლიათ იმუშაონ სტაჟიორებად მის ორგანიზაცია „მართვეში“, მაგრამ თავდაპირველად ისინი მუშაობას იწყებენ სტუდენტთა უფრო მცირე ჯგუფთან. პროგრამის კოორდინატორებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სტუდენტები ჩვეულებრივ ბრუნდებიან მშობლიურ ქალაქებში და ასწავლიან სკოლებში. წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის დონეზე დასაქმებული კურსდამთავრებულების მაგალითები.

სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებშიც, ენობრივი ბარიერის შემთხვევაში კი მათ უზრუნველყოფენ თარჯიმნით. ადგილზე ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ მონაწილე სტუდენტები თავისუფლად არ ფლობდნენ ინგლისურ ენას, შესაბამისად ინგლისური ენის სწავლება მიჩნეულია გასაუმჯობესებელ მხარედ, რაც სტუდენტებს ხელს შეუწყობს გააძლიერონ მათი პერსპექტივები და გზები, რითიც შეძლებენ თავიანთი სტუდენტური გამოცდილების გამრავალფეროვნებას. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ დაგეგმონ ნებისმიერი სახის ღონისძიება და შეათანხმონ ზოგიერთი დეტალი ფაკულტეტთან. სტუდენტებს ეგზავნებათ კითხვარები, რათა გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები ლექტორებისა და მათ მიერ მოწოდებული საგნების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კითხვარების გამოყენება არის ახალი პრაქტიკა, აქამდე პროგრამის კოორდინატორებს ჰქონდათ პირისპირ შეხვედრები სტუდენტებთან და მსჯელობდნენ კურსებზე და ლექტორებზე და სტუდენტებისთვის სასურველ ნებისმიერ საკითხზე.

ერთი რამ, რაც უნდა გაუმჯობესდეს არის სტუდენტების ონლაინ პლატფორმის არსებობა, რომელიც მოიცავს ცხრილებს, მათი საგნების სილაბუსებს, ინფორმაციას გამოცდების თარიღების შესახებ, გამოცდების შედეგებს. ამჟამად სტუდენტები ძირითადად იყენებენ ელ.ფოსტას კურსების დეტალების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება ლექტორებთან
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან
- გასაუბრება დამსაქმებლებთან
- თვითშეფასების დოკუმენტი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- განიხილეთ სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის გზები, რომ მათთვის უფრო ნათელი გახდეს პროგრამის ფუნქციონირებისა და აკადემიური მოთხოვნები - მაგალითად, შეიმუშავეთ და დანერგეთ სტუდენტური პორტალი (სადაც სასწავლო კურსების შესახებ ისეთი დეტალური ინფორმაცია იქნება მოცემული, როგორცაა: გამოცდის თარიღები, გამოცდის შედეგები, შეფასებები, სილაბუსები, ცხრილები, საკონსულტაციო საათები)

კლასტერის საერთო რჩევები:

- უზრუნველყავით პოლიტიკის უწყვეტი განვითარება სტუდენტისთვის გასაგებ ენაზე.
- შეაფასეთ ინგლისური ენის მიწოდების ეფექტურობა, პროგრამის მიზნების მხარდასაჭერად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (დასახელება,

საფეხური),

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (დასახელება,

საფეხური),

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტ აციო და	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
მხარდამჭერი სერვისები				
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ- შემსრულებელი- მე-7 დონე	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის განმავლობაში სტუდენტებს ასარჩევად სთავაზობენ სამაგისტრო ნაშრომის თემების ჩამონათვალს, თუმცა მათ ასევე შეუძლიათ თავად აირჩიონ თემა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჩამონათვალში. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტებმა უნდა განიხილონ დეტალები ლექტორებთან, იმისათვის, რომ განისაზღვროს სტუდენტის მიერ შეთავაზებული თემის შესაბამისობა პროგრამასთან. აღნიშნული შეთანხმების შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ დაიწყონ ნაშრომზე მუშაობა. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ თავად აირჩიონ ლექტორები, რომლებიც სურთ რომ იყვნენ მათი ნაშრომის ხელმძღვანელები. სანამ სტუდენტები მუშაობენ ნაშრომზე, მათ აქვთ რეგულარული შეხვედრები ლექტორთან, რათა განიხილონ ნაშრომზე მუშაობის პროცესი და სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ შესაფერისი და დროული უკუკავშირი ლექტორებისგან.

სტუდენტებს უტარდებათ შესაბამისი კურსები, რომლებიც ორიენტირებულია მათი კვლევითი და ზოგადი უნარების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის. სტუდენტები წინასწარ ფლობენ ინფორმაციას სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის/სტანდარტების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ, იმისათვის, რომ მათ იცოდნენ თუ რა არის ნაშრომზე მუშაობის მისაღები გზები.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები, პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მეშვიდე დონე	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	3
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	9
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	3/9

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლიტბარ-შემსრულებელი) მეშვიდე დონე	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	-
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	-
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან
- გასაუბრება ლექტორებთან
- თვითშეფასების დოკუმენტი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:
რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:
რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ- შემსრულებელი მე-7 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ- შემსრულებელი- მე-7 დონე	☒	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო პროგრამაში და ორი, "ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებლის" და "მუსიკოლოგიის (ქართული ტრადიციული მუსიკა)", სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაცია როგორც სამეცნიერო ასევე პრაქტიკული მიმართულებით. ის მოიცავს როგორც სოციალურ, ასევე სახელოვნებო კომპონენტებს. კადრების შერჩევის პროცესში კომპლექსურად ექცევა ყურადღება პედაგოგიურ, პრაქტიკულ (საშემსრულებლო), შემოქმედებით და სამეცნიერო გამოცდილებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 აკადემიური პერსონალი, რომელიც 100%-ით არის აფილირებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 21. აფილირება რეგულირდება დოკუმენტით „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის აფილირებული და არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესის“ მიხედვით.

სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ მოწვეულ პერსონალს აქვს მოწვეული პროფესორის/ასოცირებული პროფესორის სტატუსი, იქედან გამომდინარე თუ რომელ აკადემიურ თანამდებობას იკავებს სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციაში. სხვა მოწვეულ პერსონალს აქვს უფროსი მოწვეული ლექტორის სტატუსი - დოქტორის ხარისხის მქონე პირი ან მოწვეული ლექტორის სტატუსი - პირი, რომელსაც არ აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა თანამშრომელთა რაოდენობაში გამოხატული სრულ განაკვეთზე დასაქმებული პერსონალის ეკვივალენტი, აკადემიური პერსონალის რაოდენობა მთლიან პერსონალთან მიმართებით, ლექტორის და სტუდენტის თანაფარდობა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ აქტიურ პროგრამებზე დასაქმებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს წვდომა აქტიური სტუდენტების რაოდენობაზე. აკრედიტაციის შემდეგ უნივერსიტეტში ამოქმედდება ერთი საბაკალავრო და ორი სამაგისტრო პროგრამა, რაც საჭიროებს კადრების რაოდენობის გაზრდას და მომდევნო სასწავლო წლების თანაფარდობა წარედგინა უნივერსიტეტს.

პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა კვალიფიციურ, ენთუზიაზმით აღსავსე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. პირადი საქმების და დამატებითი დოკუმენტაციის მიხედვით, პერსონალი სრულად აკმაყოფილებს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესებს: ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის პროფესორად 6 წლის ვადით. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება. ბ) უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 6 წლის ვადით. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 4 წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება შესაბამისი მიმართულებით. გ) უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორად შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 წლის ვადით. დ) ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორანტი ან მაგისტრანტი, ან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.

მოწვეული პერსონალისთვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, განსაკუთრებულ შემთხვევაში დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თუ ამავდროულად პირს აქვს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით); ბ) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს დამატებით მოეთხოვება ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები/ნაშრომები შესაბამის სფეროში, ან არანაკლებ 3 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება ან/და სწავლების გამოცდილება.

ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ გაიარეს ტრენინგები, რათა ხელი შეუწყონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული სიახლეების გაცნობას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, პლაგიატის განმსაზღვრელი პროგრამის „ტურნიტინის“ დანერგვა და განხორციელება; ბიბლიოთეკის ტრენინგი „თანამედროვე ბიბლიოთეკის როლი და მნიშვნელობა განათლების სისტემაში და ელექტრონული სწავლების კონტექსტში“; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის Eflow გაცნობა და შესწავლა; სხვადასხვა მეთოდოლოგიური სიახლეების გაცნობა, რომელსაც აკადემიური პერსონალი უზიარებს კოლეგებს. მათ აღნიშნეს, რომ მათ მიერ წარმართული პრაქტიკული და თეორიული კურსები არის შემუშავებული მათ მიერ და აღნიშნულ უნივერსიტეტში ასწავლის ყველა ის ადამიანი, ვინც კომპეტენტურია სპეციალიზებული მიმართულებით. შესაბამისად, მათ ჰყავთ საკმარისი კვალიფიციური სპეციალისტები იმისათვის, რომ დანერგონ და განახორციელონ პრაქტიკული საქმიანობა.

გამოკითხულმა აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე. თვითშეფასების ანგარიშისა და „სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების წესის“ დოკუმენტების საფუძველზე, პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულება განისაზღვრება პერსონალის შეფასების შედეგების საფუძველზე და მოიცავს განმავითარებელი აქტივობების ჩამონათვალს. უსდ-ს პერსონალი ინფორმირებულია აღნიშნული პროცესების შესახებ. გამოკითხულმა აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა არა მხოლოდ ინფორმაციის ქონა მოცემული დოკუმენტის შესახებ, არამედ აღწერეს ის აქტივობები, რომლებსაც მოცემული დოკუმენტი ავალდებულებს თითოეულ ლექტორს.

პროგრამის აქტიური სტუდენტების რაოდენობაა 31 ბაკალავრი, 1 მაგისტრანტი. ბაზრის კვლევის დოკუმენტის მიხედვით, ახალი პროგრამების დაწყების შემდეგ მოსალოდნელია სამაგისტრო პროგრამების კვოტის ზრდა.

შეფასების პერიოდში პროგრამას ჰყავდა 32 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. აღნიშნული თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი ძირითადად წარმოდგენილია დარგის სპეციალისტებით. ასევე, პროგრამას ემსახურებიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება სამუშაო შეხვედრის ფორმით, სადაც სტუდენტები მჭიდრო კავშირში არიან როგორც აკადემიურ ასევე მოწვეულ პერსონალთან. პროფესორი სარგებლობს ავტორიტეტით სტუდენტებს შორის და ისინი კმაყოფილებას გამოხატავენ ამგვარი თანამშრომლობით. დამატებით, ბევრი პროფესორი არის საგნობრივი სახელმძღვანელოების ავტორი, რომლებიც გამოიყენება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. აკადემიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო საქმიანობაში, რაც გამოიხატება ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებში და ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე წარმოდგენილ მოხსენებებში. ბოლო 5 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, სამეცნიერო - კვლევის მაჩვენებელია 353. აქედან, ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობაა 76; საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება - 18; მოხსენებები ადგილობრივ კონფერენციებზე - 53; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე - 72; სხვა კვლევითი აქტივობა - 134. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება გეგმავს სამეცნიერო საქმიანობის ზრდის ხელშეწყობას, განსაკუთრებით საერთაშორისო პუბლიკაციების გამოცემის განვითარებას და მუშაობის აქტიურად გაგრძელებას აღნიშნული მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ მათ აქვთ პროგრამის სწორად მართვის კომპეტენცია და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის მრავალწლიანი გამოცდილება. დამატებით, მათ ასევე აქვთ პრაქტიკული საქმიანობის დიდი გამოცდილება, რაც, ერთი მხრივ, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირების წინაპირობაა, მეორე მხრივ კი სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფის წინაპირობა.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არის 21. დასაქმებულის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში მოცემულია თითოეული სამშატო ერთეულის დაქვემდებარებული უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა, კომუნკაციის სფერო და ა.შ. პერსონალის ოფიციალური სია ასე გამოიყურება: 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელსაც ექვემდებარება 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. 3. ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი. 4. უწყვეტი განათლების პროგრამების მენეჯერი. 5. სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების მენეჯერი. 6. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელსაც ექვემდებარება 7 სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტი 8. იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი. 9. საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი. 10. პროექტების მართვის მენეჯერი. 11. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელი. 12. ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელი. 13. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი. 14. კომუნკაციების და სოციალური მედიის მენეჯერი. 15. შესყიდვების მენეჯერი. 16. შრომის უსაფრთხოების მენეჯერი. 17. წესრიგის დაცვის მენეჯერი. 18. დასუფთავების მენეჯერი. 19. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, რომელსაც ექვემდებარება 20 ბიბლიოთეკარი. 21. ექიმი/ექთან. 22. ჩამწერი სტუდიის ტექნიკური მენეჯერი, რომელსაც ექვემდებარება 23 ჩამწერი სტუდიის ტექნიკური მენეჯერის ასისტენტი.

დასაქმებული აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება პროცესების მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ამიტომ უნივერსიტეტი გეგმავს „კმაყოფილების კვლევას“, რომელიც მიზნად ისახავს იმ საჭიროებების იდენტიფიცირებას, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ მიზნის მიღწევის დამაბრკოლებელ გარემოებას. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის „კმაყოფილების კვლევა“ ჩატარდება შემდეგი 5 მიმართულებით: დემოგრაფიული, საუნივერსიტეტო კულტურა და პოლიტიკა, ინსტიტუციური განვითარება, დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა, ზოგადი კმაყოფილება. ანალიზის შედეგად დაიგეგმება პრობლემების თავიდან არიდების ღონისძიებები: ა) თანამშრომლების გადამზადების კურსები; ბ) თანამშრომელთა საქმიანობის წახალისების სხვადასხვა ფორმის შემუშავება და განხორციელება; გ) კარიერული ზრდისა და დაწინაურების შესაძლებლობა.

უსდ აღწერს პერსონალის წახალისების ფორმებს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდისა და შრომის დაფასების თვალსაზრისით: მადლიერება, მატერიალური ჯილდო/კომპენსაცია, პრემია, კონკრეტული პრიზი და სხვა.

პერსონალის აკადემიური საქმიანობის მიმართულებით წახალისების ფორმები განისაზღვრება „აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების წესის“ მიხედვით.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (ქართული ტრადიციული მუსიკა, საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად (სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი/რეგენტი)) მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსი, რომელიც გაუძღვება პროგრამას და საგანმანათლებლო დისციპლინებს თეორიულ და პრაქტიკულ მიმართულებებში. პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორები - თეონა რუხაძე და გიორგი დონაძე. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამა 1 (ქართული ტრადიციული მუსიკა, საბაკალავრო პროგრამა)¹¹				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი¹²	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹³	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	31	11	6	11
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	4	4	4	4
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	20	14	10	-
სამეცნიერო პერსონალი	51	25	16	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა) სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამას „მუსიკოლოგია - ქართული ტრადიციული მუსიკა“ აქვს მინიჭებული ორი კვალიფიკაცია საეკლესიო მუსიკისა და ეთნომუსიკოლოგიის მიმართულებით. პროგრამას ჰყავს ერთი ხელმძღვანელი, პროფესორი თამარ ჩხეიძე. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამოიყენება სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევებისთვის: აუდიტორიები, ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა, ჩამწერი სტუდია და სხვა საჭირო აღჭურვილობა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია

¹¹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹² ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹³ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შესაბამისი დარგის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების სასწავლო კურსით/კურსებით და პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო გეგმის მართვის სამსახური, სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. (იხილეთ ცხრილი)

პროგრამა 2 (მუსიკოლოგია, ქართული ტრადიციული მუსიკა, სამაგისტრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი¹⁴	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹⁵	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	5	3	3	5
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	3	5	2	3
- ასისტენტ-პროფესორი	0	3	0	3
- ასისტენტი	-	-	0	-
მოწვეული პერსონალი	15	5	3	-
სამეცნიერო პერსონალი	20	8	6	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი, სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამით „ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი“ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ქართული ხალხური და სასულიერო მუსიკის დირიჟორობაში (ლოტბარი/რეგენტი) / სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ქართულ ხალხურ და სასულიერო მუსიკის დირიჟორობაში“. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დონისა და კვალიფიკაციის ორი ხელმძღვანელი.

სასწავლო პროცესისთვის გამოიყენება უნივერსიტეტის აუდიტორიები, ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა, ხმის ჩამწერი სტუდია და ინვენტარი. უახლესი კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტთან და აღჭურვილია ტრადიციული პროგრამების პაკეტით, სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს მოიძიონ საჭირო ინფორმაცია, ისარგებლონ ელექტრონული ბიბლიოთეკით და ჩამწერი სტუდიით. შემოქმედებით კოლექტივებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში განხორციელდება სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შემოქმედებითი პრაქტიკა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი დარგის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების სასწავლო კურსით/კურსებითა და პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს

¹⁴ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების მართვის სამსახური, და სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. (იხილეთ ცხრილი)

პროგრამა 3 (ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი, სამაგისტრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁷	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	10	8	4	10
- პროფესორი	2	1	1	2
- ასოცირებული პროფესორი	5	4	3	5
- ასისტენტ-პროფესორი	3	3	0	3
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	12	7	2	-
სამეცნიერო პერსონალი	22	15	6	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულება
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის/ფონოთეკის დებულება
- გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი
- ეთიკის კოდექსი

¹⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- როგორ გამოვავლინოთ პლაგიატი, თავიდან აიცილოთ იგი და ვუპასუხოთ პლაგიატის შემთხვევებს
- აკადემიური პერსონალის შერჩევა/დანიშვნა
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების შეფასების წესები
- პერსონალის CV-ები;
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)
რეკომენდაცია(ები):

რჩევა(ები):

პროგრამა 2 (დასახელება, საფეხური)

რეკომენდაცია(ები):

რჩევა(ები):

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 საბაკალავრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკა, მე-6 დონე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სამაგისტრო პროგრამები - მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), მე-7 დონე				
პროგრამა 3	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ- შემსრულებელი- მე-7 დონე				

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კვლევით კომპონენტს ახორციელებს ორ სამაგისტრო პროგრამაში. სამაგისტრო კვლევა მუსიკოლოგიის პროგრამის ფარგლებში (ქართული ტრადიციული მუსიკა) უფრო სიღრმისეულად მიმდინარეობს და მოიცავს კვლევის სხვადასხვა მეთოდს, სტრატეგიას, დასამუშავებელ ლიტერატურის მრავალფეროვნებას. კვლევის თემა და ნაშრომის შინაარსი მრავალფეროვანი და მოცულობითია. მეორე სამაგისტრო პროგრამა - ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი სასწავლო კურსის დასკვნით პერიოდში წარმოგიდგენთ ნაშრომს ორი მიმართულებით: პრაქტიკული შესრულების რეპერტუარი და მცირე კვლევა მოხსენების სახით.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამებიდან სამაგისტრო ნაშრომის შესრულება გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამით - „მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)“. პროგრამას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, სურვილისამებრ, ორი კვალიფიკაციის კუთხით განავითარონ თავიანთი ინტერესები. ეს კვალიფიკაციებია: სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი (MMus) საეკლესიო მუსიკაში; სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი (MMus) ეთნომუსიკოლოგიაში.

ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი, რომელსაც უნივერსიტეტი გამოიყენებს კვლევის მიმართულების გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტში ამოქმედდება პლაგიატის გამოვლენის პროგრამა Turnitin-ი, რომელიც დარეგულირდება შემდეგი დოკუმენტით: გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების წესები. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები ნათლად არის აღწერილი დოკუმენტში „საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტის დებულება“.

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებული კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა შემდეგი სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური რესურსები: კულტუროლოგია - სალექციო კურსი (2015); სამგალობლო ტერმინთა ლექსიკონი - (2015); პროექტი დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში. „ლექციები ლიტურგიაში“ (2019); პროფესორების ვიდუო ლექციების სერია (2020) შემდეგ კურსებზე: ტრადიციული სიმღერა, გალობა, მუსიკალური პალეოგრაფია, გალობის ისტორია და თეორია; მონოგრაფია „ქართული გალობის სახეობები“ - ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) გამოცემა. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო

ფონდი „2021 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გამოცემის შესახებ“ და ა.შ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა) სამაგისტრო პროგრამა)

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამებიდან სამაგისტრო ნაშრომის შესრულება გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამით „მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)“. პროგრამას ხელმძღვანელობს პროფესორი თამარ ჩხეიძე. პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს მათი არჩევანიდან გამომდინარე შესაძლებლობა აქვთ თავიანთი ინტერესები ორი განსხვავებული კვალიფიკაციის განხრით განავითარონ. ეს პროგრამებია: სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი (MMus) საეკლესიო მუსიკაში; სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი (MMus) ეთნომუსიკოლოგიაში.

ამჟამინდელი და პოტენციური მაგისტრანტების ხელმძღვანელებს მრავალწლიანი სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება აქვთ, მათი სამეცნიერო ხარისხი მაღალია, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კვლევებში, ფორუმებში, კონფერენციებში, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რაც დასტურდება პერსონალის პირადი საქმეებით. ხელმძღვანელთა მუშაობის ხარისხს ასევე ადასტურებს გალობის უნივერსიტეტის მაგისტრანტების მიერ დაცული დისერტაციები, ნაშრომებში წარმოდგენილი კვლევითი პრობლემები და შინაარსი, ნაშრომების სტრუქტურა და ტექსტის სტილი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მათი სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შესაბამისად. ხარისხის სამსახური რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. ასევე აკადემიური პერსონალი რეგულარულად წარუდგენს ხარისხის სამსახურს ინდივიდუალურ ანგარიშებს შესრულებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

საბოლოო ჯამში, ამ ინფორმაციას აანალიზებს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც იძლევა რეკომენდაციებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და ასახავს შეფასების შედეგებს განვითარებისა და დაწინაურების პოლიტიკის დაგეგმვისას. უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული პროექტებისა და ღონისძიებების გარდა, უსდ უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ განვითარებას კონფერენციებში მონაწილეობით, პუბლიკაციებით და სხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო აქტივობების დაფინანსებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ და, საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, მონაწილეობენ შესაბამის ღონისძიებებში - აქვეყნებენ სტატიებს პუბლიკაციებში, მონაწილეობენ კონფერენციებში და ა.შ.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი თავის პერსონალისთვის ატარებს ტრენინგებს, დისტანციურ შეხვედრებს და სესიებს გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც დადასტურდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გასაუბრების პროცესში.

მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა), სამაგისტრო პროგრამა¹⁸			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე	მათ შორის, ავილირებულ აკადემიური პერსონალი

¹⁸ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

		ხელმძღვანელები ¹⁹	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	3	3	3
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი, სამაგისტრო პროგრამა)

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა მრავალფეროვანია თავისი შინაარსითა და განსახორციელებელი საქმიანობით. სასწავლო კურსებს უძღვებიან პრაქტიკული და თეორიული ცოდნით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური პედაგოგები. პროგრამის სასწავლო პერიოდში სტუდენტებს საშუალება აქვთ მოამზადონ საშინაო დავალება, მონაწილეობა მიიღონ კონცერტებში, გააკეთონ, მოიპოვონ, გაშიფრონ ჩანაწერები. მოცემული სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია კვლევითი კომპონენტის გამოყენება, რომელსაც შემდეგი სტრუქტურა აქვს: დაწერეთ მცირე ზომის ნაშრომი/დისერტაცია წინასწარ შერჩეული თემის ირგვლივ, რომელიც შეიძლება ეყრდნობოდეს სტუდენტის პირად კვლევით გამოცდილებას, სემესტრის განმავლობაში მასწავლებლის კონსულტაციით მან შეიძლება ასევე ჩაატაროს ქართული ტრადიციული მუსიკის ძველი თუ ახალი დარგობრივი კრებულის ანალიზი. დასკვნითი გამოცდის ერთ-ერთი ნაწილია ნაშრომის დაცვა. მთავარი კომპონენტია შესწავლილი საშემსრულებლო მასალის შესრულება-პრეზენტაცია კონცერტის სახით, რომლის გამოცდილებაც სტუდენტს ოთხი სემესტრის განმავლობაში დაუგროვდა. ეს ორი კომპონენტი ერთმანეთთან არის შერწყმული და ემსახურება ლოტბარ-შემსრულებლის ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებს იმუშაოს უმაღლესი და საშუალო რგოლების შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, დაიკავოს ხელმძღვანელის პოზიცია მუსიკალურ-ფოლკლორულ კოლექტივებში, ან იყოს ანსამბლის წევრი, დაკავდეს კულტურის ცენტრებში, შემოქმედებით-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში, ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებში, საჯარო და კერძო სკოლებში. ეს სიტუაცია კი მოთხოვს კვალიფიციურ კადრებს/პედაგოგებს, რომელიც გალობის უნივერსიტეტს ნამდვილად ჰყავს, რაც დადასტურდა წარმოდგენილი CV-ებით, პროგრამის სასწავლო გეგმებით, სილაბუსებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალით, მათი შემოქმედებითი და საკონფერენციო აქტივობები.

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი; სამაგისტრო პროგრამა ²⁰			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ²¹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	3	3	3
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, განხორციელებისა და დაცვის წესები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სხვადასხვა ღონისძიებებში დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის
- ჩართვის მონაცემები
- განხორციელებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების ყოველწლიური ჩამონათვალი
- პერსონალის (მაგისტრანტთა ხელმძღვანელების) პირადი საქმეები;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები.
- პერსონალის სია პროგრამების, პროგრამის კომპონენტების მიხედვით
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციასთან.

²⁰ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

